619
1997
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 5
1997

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა



## ფოტო-ინფორმაცია

- ალლუმი რესპუბლიკის მოედანზე
- 9 მაისი. უცნობი ჯარისკაცის საფლავთან
- ქალთა საბჭო. სიკეთის ნერგები კახეთის გზატკეცილზე
- დინამო "თბილისი" თასის მფლობელია
- ამერიკელი ბიზნესმენი ოთარ ზალდასტანიშვილი თბილისში
- სოფიკო ჭიაურელი ღირსების ორდენოსანია









№5 1997 (691)

ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და
სალიტერატურო-სამხატვრო
ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

გოჩა დანელია. მასობრივი ტერორის ცეზარი.
ჩვენი სტუმარია აფხაზეთის ტელერადიოკომპანია.
მერი თოდუა. ორი ნარკვევი (ნამდვილი ამბავი.)
დალილა ბედიანიძე. ლექსები.
ნათელა მაისურაძე. თავისუფლებისაკენ სავალ გზაზე.
გიორგი ჟუკოვი. მოგონებები და ფიქრები.
ჯალალ ედ-დინ რუმი. ლექსები.
თამარ გამყრელიძე. ლექსები.
ზურაბ რატიანი. თამარის სიზმარი.
შერვუდ ანდერსონი. გროტესკის წიგნი (მოთხრობა).
ვარლამ შალამოვი. შერი-ბრენდი.
მამუკა ცეცხლაძე. რანუ, რანუნ' აინა
ამბები, ამბები, ამბები...
კროსვორდი

სარედაქციო კოლეგია:

ჯანსუღ ჩარკვიანი -
თავმჯდომარე,
გულნარა ბახტაძე -
პასუხისმგებელი რედაქტორი,
ვასილ გვეტაძე, ნატა
თათარაშვილი, ზურაბ
კვანტრიშვილი, თედო ნინიძე,
დინარა ნოდია (მხატვარ-
რედაქტორი), ელდარ
შენგელაია, ზურაბ წერეთელი,
თამაზ ჭილაძე

გოჩა დანელია

# მასობრივი ტერორის ცეზარი

ტერორი რუსეთში ყოველთვის იყო, მაგრამ მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა, როგორც "აზროვნებაზე ადამიანის უფლების დაცვის საშუალება". ტერორისტები თავს რევოლუციონერებს უწოდებდნენ; ტერორით ცდილობდნენ საშინაო პოლიტიკისადმი ინტერესის გაღვივებას; ტერორს განაპირობებდა რუსული რადიკალიზმის პრინციპი — თუ ძალადობა მტრის წინააღმდეგ ხდება, ის გამართლებულია; ითვლებოდა, რომ ტერორისტები სახალხო საქმეს აკეთებდნენ, როცა ნაროდნიკული მოძრაობა ღვივდებოდა, მაშინ ხალხი მთავრობას ესროდა. "ტერორი მეფის რუსეთში პოპულარული გახდა, ის სისხლსა და თანაგრძნობას იწვევდა" (ა. სოლჟენიცინი). კლავდნენ იმპერატორებს, დიდ მთავრებს, მინისტრებს. ყურადსაღებია ის, რომ მამის მკვლელობისათვის ალექსანდრე III "თეთრი ტერორი" არ გამოუცხადებია. ასევე იქცეოდა ნიკოლოზ II. რუსეთში, ტრადიციულად, შიგა ტერორიზმი არსებობდა. მსხვერპლთა გვამებს ყოველთვის უმალავდნენ ჭირისუფლებს.

1917 წლის შემდეგ მთავარი ტერორისტი სახელმწიფო ხდება, იდეოლოგი კი — ხალხთა ბელადი ლენინი. იწყება მასობრივი ტერორი — ხალხთა დაშინებისა და დაბეჩავების იარაღი. "ურასპუტინოდ ლენინიც არ იქნებოდა. ლიბერალური და დემოკრატიული რუსეთის ბრძოლის შედეგად გაიმარჯვა მესამე ძალამ - ბოლშევიკებმა, რომლებიც სისხლით გაუსწორდნენ არა მარტო მეფის ოჯახს, არამედ ყველა რუს ლიბერალსა და დემოკრატს" (კერენსკი). შემდეგ თავად ბოლშევიკებსაც დარიეს ხელი, რადგან ძალაუფლების აზრი ძალის გამოყენებაა. ლენინისთვის დემოკრატია ჩვეულებრივი არითმეტიკა იყო და ხმების უმრავლესობით მიუსაჯეს სოკრატეს სიკვდილი, ასევე ატარებდნენ ხალხს ხორცის საკეპ მანქანაში ლენინური "ტროიკები". აბა ძალაუფლება რა ძალაუფლებაა თუ ბოროტად არ გამოიყენე?! ალბათ, რუსეთის ისტორიაში 1917-1922 წლებზე ცოდვიანი პერიოდი არ ყოფილა. გაანადგურეს თერთმეტი მილიონი ადამიანი. ეს იყო XX საუკუნის აპოკალიფსი. ლენინმა მოახერხა, იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომში გადაეზარდა. სისხლში ბანაობდა რუსეთი. ამ დროს იქ ქრისტე არ აღმსდგარა. არ არის მართალი, თითქოს ლენინი მხოლოდ ტერორს პასუხობდა ტერორით. აი, რა განაცხადა მან 1918 წლის 14 იანვარს: "სანამ ჩვენ არ გამოვიყენებთ ტერორს — ადგილზე დახვრეტას — სპეკულანტების მიმართ, არაფერი გამოვა".

ცნობილი კანონია — რევოლუციები დედაქალაქში ხდება, პერიფერიებში კი ბუნტია. რუსეთში ასე არ იყო. გაიხსენეთ ილიჩის მიმართვა (1918 წ. ზაფხული) გლეხებისადმი: "ჩვენ არ გპირდებით არავითარ ჰარმონიას, ჩვენ გპირდებით ახალ ბრძოლას, ახალ უთანაბრობას, ახალ რევოლუციას". პირდებოდა და მოქმედებდა კიდეც. 1918 წლის აპრილიდან ივნისის ჩათვლით რევოლუცია ტერორის რელსებზე ვითარდებოდა. მანამდე კი, საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით, კვლავ სიკვდილით დასჯა იქნა შემოღებული. ბოლშევიკ ურიცკის მკვლელობამ (პეტროგრადის ჩეკას თავმჯდომარე) და შემდეგ ლენინის დაჭრამ განაპირობა დადგენილების მიღება "წითელი ტერორის შესახებ". ლენინი მოითხოვდა, სასტიკად გასწორებოდნენ რევოლუციისა და მუშათა კლასის მტრებს. მისთვის არ არსებობდა რუსი ხალხი, იყო მარტო მუშათა კლასი. ყველა პროლეტარის სამშობლო კი სოციალიზმი იყო. სოციალიზმისაკენ მიმავალ გზას იგი გვამებით კირწყლავდა; ერთ-ერთ წერილში 100.000 მანეთს პირდებოდა ჯალათს თითოეულ ჩამოხრჩობილზე, ოღონდ ამ საქმისათვის გამოენახათ სათანადო ხალხი. ილიჩი დამრიგებლური წერილით მიმართავდა პოლიტბიუროს წევრებს: "რაც უფრო მეტ რეაქციულ სამღვდელოებასა და კაპიტალისტებს დახვრეტთ, მით უკეთესია". და ხვრეტდნენ ასიათასობით. ლენინი მხოლოდ იდეის გამარჯვებისათვის იბრძოდა. ქვეყანა და ხალხი მას არ ახსოვდა. "ვსპობთ მასიურად ჩვენთვის აუცილებელ სპეციალისტებს, მეცნიერებს, ინჟინრებს, ექიმებს. საბედნიეროდ, ამხანაგებო, საზღვარგარეთ ამგვარ სპეციალისტთა სიჭარბეა.



თუკი კარგად გადავუხდით, ისინი სიამოვნებით ჩამოვლენ ჩვენთან სამუშაოდ", — ამბობდა ტროცკი. ამ საქმეში ლენინის მთავარ საყრდენს ტროცკი, დერჟინსკი, კირილენკო და სვერდლოვი წარმოადგენდნენ. მათში ერთდროულად გაიღვიძა ბოროტებამ, მაგრამ ზღვა სამუშაოს ისინიც ვერ აუდიოდნენ. ცხადია, "დადგა დრო, შევქმნათ ორგანიზაცია, აპარატი, რომელიც, თუ კი საჭირო გახდა, მოსპობს ათეულ ათასებს" — ესეც ტროცკის სიტყვებია. ხშირად უსამართლობას სჩადის არა მარტო მომქმედი, არამედ უქმად მყოფიც. ასე იყო რუსეთში. უქმად მყოფები მალე გაერთიანდნენ აპარატში — ჩეკაში. ამის შემდეგ მეტი ძალა მიეცათ სისხლისმსმელებს. "ფეხზე უნდა დავაყენოთ მთელი ჩეკა, რომ დავხვრიტოთ ყველა, ვინც სამუშაოზე არ გამოცხადდა "ნიკოლოზობასთან" დაკავშირებით" — ბრძანებდა ლენინი. და ჩვენ გვადანაშაულებენ სისასტიკეში, გვიკვირს, როგორ ივიწყებს ხალხი ელემენტარულ მარქსიზმს. ჩვენთვის მთავარია, რომ ჩეკა პირადად განახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას". "ან გარდაიქმენით, ან მოგსპობთ". — მოითხოვდა კაპიტალისტებისაგან ლუბიანკას პატრონი ძერჟინსკი. იგი იყო საბჭოთა ლუბიანკას ფუძემდებელი. თორემ ლუბიანკა თითქმის ივანე მრისხანეს დროიდან არსებობდა. სვერდლოვმა თავი გამოიჩინა მეფის ოჯახის განადგურებაში. ურალის საბჭო წერდა: "მთელ ოჯახს იგივე ბედი ეწია, რაც ოჯახის უფროსს (მეფეს). ოფიციალურად ოჯახი დაიღუპა ევაკუაციის დროს". საერთოდ, რევოლუციამ დასაჯა ცხრამეტი რომანოვი (მარტო გერმანიაში მხეცურად მოკლული კ. ლიბკნეხტისა და რ. ლუქსემბურგის სანაცვლოდ 1919 წელს დახვრიტეს ოთხი რომანოვი). როცა ლენინმა საზღვარგარეთიდან გამოწვეულ ელჩებს მოახსენა მეფის ოჯახის ტრაგედია, თავადმა ტრუბეცკოიმ მას შეაფურთხა. პროგრესისაკენ მისწრაფება რუსეთში ყოველთვის დესპოტიზმის გაძლიერებაში გადაიზრდებოდა, მაგრამ ასეთში? როცა პოლიტიკური ტერორის სისტემამ მთელი ქვეყანა მოიცვა, მას უკვე მოურიდებლად იყენებდნენ. ბოლშევიკებს მტრის შიში არასოდეს ასვენებდათ. "ჩვენ არც დრო გვაქვს და არც იმის საშუალება, ჩვენი ნამდვილი და აქტიური მტრები ვეძებოთ, ამიტომ იძულებულნი ვართ, დავადგეთ მოსახლეობის ყველა იმ კლასებისა და ჯგუფების მოსპობის გზას, საიდანაც შეიძლება გამოვიდნენ ჩვენი ძალაუფლების მტრები" (ტროცკი).

ილიჩი ხშირად იმეორებდა ნაპოლეონის სიტყვებს — ომში მაშინვე უნდა ჩაერთო, მერე კი ვნახოთ. ეს წინადადება სათავეს რიშელისგან იღებს — ვინც თავს არიდებს თამაშს, ის მას აგებს. ჰოდა გრძელდებოდა თანმიმდევრული და დაუნდობელი ტერორი. "ჩვენ ორ დღესაც ვერ გავძლებდით, თეთრგვარდიელებისა და ოფიცრების მცდელობისთვის რომ არ გვეპასუხა დაუნდობლად. ეს იყო ტერორი, მაგრამ იგი მოგვახვია ანტანტამ", — ამბობდა ტერორის სულისჩამდგმელი დიდი ბელადი. სენტიმენტალობა ან შენდობა მას არ ახასიათებდა. ტერორის მეთოდებს ლენინი შეუბრალებლად იყენებდა. გავიხსენოთ მისი ბრძოლა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების, ესერების ლიდერების, კულაკების, ლოთებისა და ქუჩის ქალების წინააღმდეგ. როცა 1921 წელს კრონშტადტი აჯანყდა, ლენინმა სკპბ X ყრილობის დელეგატებს ყინულის მხრიდან იერიშის მიტანა უბრძანა. აჯანყებულებს საშინლად გაუსწორდნენ, მათი უმრავლესობა დახვრიტეს "სისხლიანი ტროცკის" ბრძანებით. აყვანილი მძევლები — აჯანყებულთა ოჯახის წევრები, ნათესავები თითქმის ყველა მოსპეს. არაა მართალი თითქოს ტერორი ბოლშევიკებისათვის იძულებითი მოვლენა იყო. უმრავლესობას ეს სისხლში ჰქონდა გამჯდარი. ავანტიურისტი ლენინი არც სხვა სახელმწიფოს მიმართ ერიდებოდა ტერორს. ერთ ხელქვეითს იგი წერდა: "შეეცადეთ, დასაჯოთ ლატვია და ესტლანდია სამხედრო წესით. მაგალითად, ბალახოვიჩის მხრებზე სადმე ერთ კილომეტრში გადაჰკვეთეთ საზღვარი და ჩამოახრჩვეთ იქ ასი ათასამდე მათი ჩინოვნიკი და მდიდარი".

ნურავინ იფიქრებს, რომ ილიჩს ხანშიშესულობაში ეახლა სატანა. ნურას უკაცრავად. აი, რას ამბობდა 21 წლის ლენინი ვოლგისპირეთში შიმშილობის დროს: "შიმშილი, ანგრევს რა გლეხურ მეურნეობას, ამავდროულად ამსხვრევს რწმენას არა მარტო მეფისას, არამედ ღმერთისასაც და დროთა განმავლობაში გლეხებს უბიძგებს რევოლუციისაკენ". ამიტომ ის მოითხოვდა, არ დახმარებოდნენ მოშიმშილეებს. 1905 წლის რევოლუციის დროს ლენინი მოუწოდებდა, გამოეყენებინათ ლურსმნები ჟანდარმთა ცხენების წინააღმდეგ, მდუღარე წყალი და მჟავა შეესხათ პოლიციელებისათვის, ბომბი ესროლათ ჟანდარმებისათვის. საბჭოთა მთავრობის მეთაურის პოსტზე ის მთლად შეურაცხადი გახდა და უამრავი სისხლი დაღვარა. ამით დიდი ცოდვა აჰკიდა რუს ხალხს. მეუფე იოანე საზღვარგარეთ ემიგრირებული რუსული ეკლესიის მთავარეპისკოპოსი, ამბობდა:: "რუსმა ხალხმა საშინელი ცოდვა იტვირთა და მის შედეგს დღეს იმკის — ესაა ფიცის გატეხვა და მირონცხებული მეფის მკვლელობა". საზღვარგარეთულმა რუსულმა ეკლესიამ დიდი ხანია ნიკოლოზ II-ის ოჯახი წმინდანად შერაცხა (სამომავლოდ რუსეთშიც აპირებენ). ასეთია ისტორია. "ჩვენ უარი არ უნდა ვთქვათ სისხლითა და საშინელებებით სავსე ჩვენს ისტორიაზე. ის უნდა გავიაზროთ, რადგანაც, მართალია, უცნაურად ჟღერს, მაგრამ მაინც მონაპოვარია" (ა. ბიტოვი). ამ პერიოდის რუსული ისტორიის საყრდენი კი ლენინის ცოდვებია. მოვა დრო და ღმერთიც, ერიცა და ისტორიაც ყველას თავისას მიაგებს.

20897

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი სტუმარია აფხაზეთის ტელერადიოკომპანია

"თბილისის დროით 9 საათი და 30 წუთია.

ეთერშია აფხაზეთის რადიომაუწყებლობა.

დილა მშვიდობისა, ძვირფასო მეგობრებო!

მოისმინეთ საინფორმაციო პროგრამა"

ასე იწყებს თავის გადაცემას აფხაზეთის რადიო და ათასობით კერასმოწყვეტილი, ბუდემოშლილი, თავისივე სამშობლოში ხიზნადქცეული გულისფანცქალით მოელის იმედიან და სანუგეშო სიტყვას.

სულში სევდიანი მუსიკის ჰანგები იღვრება.

უსმენს სრულიად საქართველო და ამ ლოდინში უკვე ოთხი უსაშველოდ გრძელი და გაუსაძლისამდე ტკივილიანი წელი იწურება.

დღეს ჩვენი მსმენელი თუ ტელემაყურებელი განსაკუთრებულ მოწიწებას გრძნობს მათ მიმართ, ვინც ომის მძიმე დღეებში და მას შემდეგაც გმირობის ტოლფას საქმეს აკეთებდა, ზოგი მათგანი კიდეც შეეწირა თავის პროფესიული მოვალეობის შესრულებას, სხვები კი დღესაც დიდი რუდუნებითა და ჭირთათმენით განაგრძობენ მუშაობას, რადგან მათ სჯერათ ხვალინდელი დღისა და ძალას მატებთ მომავლის რწმენა.

ჟურნალი "დროშა" სიამოვნებით უთმობს თავის ფურცლებს აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის თანამშრომლებს და მკითხველს ვთავაზობთ მათ საუბარს ჩვენს კორესპონდენტთან.

**– ბატონო თამაზ (თამაზ ჩოჩია – აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის თავმჯდომარე), როგორც ვიცი ომის დაწყებამდე თქვენ გაზეთ "აფხაზეთის ხმის" მთავარ რედაქტორად მუშაობდით, როგორ მოხვდით რადიოში და რას გვეტყვით აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის მუშაობაზე თბილისში, სადაც მოგიხდათ თქვენი საქმიანობის გაგრძელება?**

– აფხაზეთის ქართული რადიო ომამდე აფხაზეთის ტელერადიომაუწყებლობის კომიტეტში გარკვეულწილად ობლის როლში იყო. მიუხედავად 1977 წლის სამთავრობო დადგენილებისა, რომლის საფუძველზეც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიქმნა ადგილობრივი ტელემაუწყებლობა, ქართული ტელევიზიის ამოქმედებას ტაბუ დაედო.

1992 წლის 14 აგვისტოს, როგორც ცნობილია, აფხაზეთში ომი დაიწყო. ზუსტად ორი დღის შემდეგ, 16 აგვისტოს ჩვენი რადიო ეთერში გავიდა. მისი მუშაობის უზრუნველყოფა მე დამევალა. მიუხედავად იმისა, მაშინ "აფხაზეთის ხმის" მთავარ რედაქტორად ვმუშაობდი და რადიოსთან არავითარი კავშირი არ მქონდა.

გადაცემა სასწრაფოდ, ერთ დღეში, მოვამზადეთ და ეთერში გავედით უშუალოდ რადიოკვანძიდან, რადგანაც ტელერადიომაუწყებლობის შენობაში სეპარატისტები დათარეშობდნენ.

რამდენიმე დღეში კი საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის, აგრეთვე კავშირგაბმულობის ხელმძღვანელობის დახმარებითა და მხარდაჭერით აფხაზეთის ტელევიზიამ და რადიომ ყოველდღიური მაუწყებლობა დაიწყო ქართულ და რუსულ ენებზე. მთელი ომის განმავლობაში ჩვენი კოლეგები გმირობის ტოლფას საქმიანობას ეწეოდნენ. მაშინ სულ უმნიშვნელო ინფორმაციის მოპოვებაც კი დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ყოველი ფეხის ნაბიჯზე სიკვდილი იყო ჩასაფრებული, ჩვენ მაინც შევძელით, თავი გაგვერთმია ამ მძიმე მისიისათვის. მაგრამ სატანამ მაინც იზეიმა თავისი დროებითი გამარჯვება და იძულებულებმა დავტოვეთ მშობლიური ალაგი.

თუმცა აფხაზეთის ტელევიზიასა და რადიოს მუშაობა



გოჩა ხუნდაძე თამაზ ჩოჩია

არ შეუწყვეტია და საქართველოს ტელერადიოკორპორაციის შენობაში თბილისელი კოლეგების თანადგომითა და მხარდაჭერით აგრძელებს საქმიანობას.

ჩვენი გადაცემების თემატიკა ძირითადად და უმთავრესად აფხაზეთის პრობლემატიკით შემოიფარგლება. ჩვენი ფიქრისა და განსჯის თემა ისევ და ისევ აფხაზეთია.

კოლექტივს უჭირს მატერიალურადაც და ფსიქოლოგიურადაც, მაგრამ ჩვენთვის უმთავრესია – იმედი დაბრუნებისა, იმედი მომავლისა, აფხაზეთში სამართლიანობის აღდგენისა.

ამ იმედის უახლოეს ხანში აღსრულებას, ჭირთათმენასა და ბედნიერ ხვალინდელ დღეს ვუსურვებთ ჩვენს მსმენელებსა და თანამოძმეთ.

**– გოჩა (გოჩა ხუნდაძე: – მთავარი რედაქტორი), იქნებ გაიხსენოთ, როგორ პირობებში გიხდებოდათ მუშაობა ომის ქარცეცხლიან დღეებში და რას განიცდიდით, როცა იძულებით მოგიხდათ მშობლიური კუთხისა და სამუშაოს მიტოვება?**

– ომის დროს ადგილობრივი რადიო ერთადერთი საინფორმაციო საშუალება იყო, რომელიც პერიოდულად აწვდიდა მოსახლეობას სხვადასხვა სახის ცნობას. თითქმის მთელი ომის განმავლობაში სოხუმში არ იყო შუქი, რის გამოც ადგილობრივი ტელევიზია იშვიათად ან საერთოდ ვერ გადიოდა ეთერში. საქართველოს რადიოს გადაცემათა მიღებაც ძალზე ჭირდა, რადგან მწყობრიდან იყო გამოსული გადამცემი ხაზები. თბილისიდან არარეგულარულად ჩამოჰქონდათ პრესა. დიდი შეფერხებით გამოდიოდა ადგილობრივი გაზეთებიც. ასე რომ, აფხაზეთის რადიო ქალაქის კვანძის მუშვეობით და დიზელ-გენერატორის წყალობით სისტემატურად გადიოდა ეთერში. სამუშაო პირობები ძალზე რთული იყო, მაგრამ ყველამ ვიცოდით, რომ საჭირო საქმეს ვაკეთებდით და მუშაობაც გვიადვილდებოდა.

1993 წლის იანვრიდან მოყოლებული სისტემატურად იბომბებოდა ქალაქი. ტელერადიოკომპანიისა და მინისტრთა საბჭოს შენობა გვერდიგვერდ მდებარეობდა და ძირითადი "აქცენტი" დაბომბვებისა ჩვენზე იყო გადმოტანილი. შენობის ხან ერთი ნაწილი დაინგრეოდა, ხან მეორე... მაგრამ ჩვენ მაინც ვმუშაობდით. დღეში 3-4-ჯერ გავდიოდით ეთერში საინფორმაციო პროგრამით, შემდეგ დავიწყეთ დილის საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამის მომზადება; ამას დაემატა "კონცერტი მეომართა თხოვნით", "ინტერვიუ პირდაპირ ეთერში" და ა.შ.

დაბომბვა ვახსენე. ეს მარტო ძლიერი ხმა, ზანზარი და ნგრევა კი არ იყო. პირველ რიგში ეს იყო ადამიანთა სისხლი, ასობით გაუბედურებული და აწიოკებული ოჯახი... თუ შენობის ახლოს ვინმე დაიჭრებოდა, შემოგვყავდა შიგნით და ჩვენი ძალებით ვუწევდით პირველ სამედიცინო დახმარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვს ერთხელ სკოლის მოსწავლე შემოიყვანეს დაჭრილი, სისხლისგან იცლებოდა საცოდავი... რამდენი ასეთი გავიხსენო...

ხშირად მესმის (სხვათაშორის რადიოშიც და ტელევიზიაშიც) ასეთი აბსურდული მტკიცება: "რომ არ გამოქცეულიყავით, სოხუმი არ დაეცემოდაო", – იმათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ სოხუმიდან არავინ არ გამოქცეულა. აფხაზეთის ქართველობა ძალით გამოყარეს. ქართული ჯარი 1993 წლის ივლისის ხელშეკრულების შემდეგ განაიარაღეს. აფხაზებმა (ანუ რუსეთმა) დაარღვიეს ხელშეკრულება და სისხლით აიღეს ქალაქი. თუმცა ამის გაგება ზოგიერთებს არ სურთ. გამოდის რომ გველეშაპს მოსახლეობა უიარაღოდ, შიშველი ხელებით უნდა შებრძოლებოდა. ასეთი კატეგორიის ხალხს, ალბათ, ერჩია, რომ ომი, უბედურება საქართველოში მუდმივად ყოფილიყო, რათა თავიანთი ბნელი საქმე ეკეთებინათ.

ჯარში უდისციპლინობამ, გვარდიას მიტმასნილმა ელემენტებმა, ზურგის არარსებობამ განაპირობეს აფხაზეთის დაკარგვა, უფრო სწორედ ის სიტუაცია, რომელმაც აფხაზეთი დაგვაკარგვინა.

საქართველოს რადიოში ძალზე თბილად მიგვიღეს. მთავარი ის იყო, რომ ჩვენს ლტოლვილობას არავინ გვაგრძნობინებდა, ხელს გვიწყობდნენ მუშაობაში, გავიცანით ერთმანეთი, დავმეგობრდით, ჩვენც მოვიკრიბეთ ძალები და 1993 წლის 6 დეკემბერს აფხაზეთის რადიოს ეგიდით ეთერში გავედით.

და აი, თითქმის ოთხი წელია, სითბო და სიყვარული არ მოგვკლებია დედარადიოში, მაგრამ ჩემი ფიქრი და გონება მაინც აფხაზეთს დასტრიალებს, ვოცნებობ იმ დღეზე, როცა მშობლიური აფხაზეთიდან განახლებული რადიოგადაცემით წარვსდგები საქართველოს რადიომსმენელთა წინაშე.

**– ბატონო თენგიზ (თენგიზ პაჭკორია: – საქინფორმის სოხუმის საკორესპოდენტო პუნქტის ხელმძღვანელი, აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის კორესპონდენტი), აფხაზეთში ომის დღეებში თქვენს რადიორეპორტაჟებს მთელი საქართველო უსმენდა, ხომ არ გაიხსენებთ იმ მძიმე დროს?**

– ხშირად მახსენდება არამარტო ომის პერიოდი, არამედ უფრო მეტად ომისწინანდელი დრო, როცა ქართველი ჟურნალისტები აფხაზეთში მიუხედავად სეპარატისტთა ლიდერების და მათი პროპაგანდისტული მანქანის ზეწოლის და მუქარისა (განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა 1989 წლის მარტიდან) აქტიურად, ოპერატიულად და ვრცლად აშუქებდნენ ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებს, სეპარატისტთა ქმედებებსა და ზრახვებს, როგორც ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებით, ასევე თბილისში გამომავალი გაზეთების, სააგენტოების, ტელერადიოკომპანიებისა და შეძლებისდაგვარად უცხოეთის საინფორმაციო საშუალებების არხებით.

მკითხველს მინდა შევახსენო საქინფორმის სოხუმელი კორესპონდენტის თენგიზ ჯიბუტის (ამჟამად რიგაში ცხოვრობს), საქართველოს რადიოს სოხუმელი კორესპონდენტის მერი თოდუას (თბილისში ცხოვრობს და აფხაზეთის რადიოში მუშაობს), საქართველოს სატელევიზიო პროგრამა "მოამბეს" კორესპონდენტის რევაზ ბაღათურიას (ისიც თბილისშია), გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტის იოსებ გობეჩიას (ამჟამად სენაკში ცხოვრობს) მწვავე რეპორტაჟები და სიგნალები 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში.

ცალკე მინდა გამოვყო ცნობილი სოხუმელი ჟურნალისტი ალექსანდრე ბერულავა – იგი სხვადასხვა დროს იყო გაზეთ "სოვეტსკაია აბხაზიას", "დემოკრატიჩესკაია აბხაზიას" კორესპონდენტი, მასალებს აწვდიდა რადიო "თავისუფლებას"; ომის დროს კი იყო აფხაზეთის ქართული ტელევიზიის ერთ-ერთი ორგანიზატორი, მუშაობდა აგრეთვე მინისტრთა საბჭოს პრეს-ცენტრში ჟიული შარტავასთან ერთად. სოხუმის აღების დღიდან ა. ბერულავა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

რაც შეეხება ჩემს რადიორეპორტაჟებს სოხუმიდან, შეგახსენებთ, რომ 1992 წლის სექტემბრამდე – სანამ მუშაობას დაიწყებდა "ალიონი" – საქართველოს ტელევიზიას არ ჰქონდა დილით პირდაპირ ეთერში გადაცემა, ამიტომ, ბუნებრივია, რომ რადიოს და კონკრეტულად "პიკის საათს" მთელი საქართველო უსმენდა, მე კი 1991 წლის მარტიდან ვმუშაობდი საქართველოს რადიოს კორესპონდენტად აფხაზეთში (მანამდე კი ვთანამშრომლობდი სხვადასხვა სააგენტოებთან და გაზეთებთან) და, რა თქმა უნდა, ხშირად მიწევდა გამოსვლა პირდაპირ ეთერში. მაშინ აფხაზეთში ბევრი მწვავე მოვლენა ხდებოდა, უკვე იგრძნობოდა მოახლოვებული ომის სუნი. სხვათა შორის, სეპარატისტები, კერძოდ "აიდგილარას" აქტივისტები ინტენსიურად უსმენდნენ საქართველოს რადიოს, კითხულობდნენ ქართულ პრესას და ხშირად თავიანთ საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით აშკარად ლანძღავდნენ ქართველ ჟურნალისტებს, ქართულ ტელევიზიას, რადიოს, პრესას,



თენგიზ პაჭკორია

ქართველ პოლიტიკოსებს. ესეც გასაგები იყო: მათ ხელს არ აძლევდათ საწინააღმდეგო აზრის მოსმენაც კი. ადგილი ჰქონდა სერიოზულ ზეწოლას და მუქარას ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და ჟურნალისტების მიმართ.

**– თავად არძინბას როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ქართულ მასმედიასთან, როგორი იყო მისი რეაქცია ქართული პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მასალებზე?**

– თავდაპირველად – 1990 წლის 4 დეკემბრიდან (იმ დღეს არძინბა "აირჩიეს" აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ) 1991 წლის ოქტომბრამდე (აფხაზეთში უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ახალ არჩევნებამდე) იგი ძალიან ხშირად პირადად გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას ქართული მასმედიის მიმართ, საჯაროდ პასუხობდა სხვადასხვა პუბლიკაციებს, ნერვიულობდა, კამათობდა, რა თქმა უნდა, ამ საკითხში აქტიურობდა მისი პრეს-სამსახური.

შემდეგ კი – განსაკუთრებით 1992 წლის იანვარ-თებერვლიდან იგი უფრო "პასიური" გახდა ამ მხრივ, ნაკლებად გამოხატავდა თავის შეხედულებას და რეაქციას. ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე მან გვითხრა: "რაც გინდათ, ის დაწერეთ ჩემზე, მე მაინც გავაკეთებ ჩემს საქმეს"-ო. მას არ განუმარტავს რა "საქმეზე" იყო საუბარი, თუმცა ადვილი მისახვედრი იყო, თუ რა ბინძურ მიზნებს ისახავდა იგი.

ომის დაწყებამდე ათი დღით ადრე – 1992 წლის 4 აგვისტოს მან სოხუმში გამართა პრესკონფერენცია, სადაც ხშირად ხაზს უსვამდა, რომ უყვარს სამეცნიერო მუშაობა, ოცნებობს თავისუფალ დროზე, როცა შეძლებს, იმუშაოს სამეცნიერო ნაშრომებზე და ა. შ. ვისარგებლე რა შემთხვევით, შევეკითხე: "თუ ასე გენატრებათ სამეცნიერო მუშაობა, ხომ არ ჯობია, მიატოვოთ პოლიტიკური მოღვაწეობა და დაუბრუნდეთ მეცნიერებას"-მეთქი, მან ასე მიპასუხა: "თქვენს გარდა, ბევრი ოცნებობს იმაზე, რომ მივატოვო პოლიტიკა, მაგრამ ჯერ ადრეა ამაზე ფიქრი, დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო"-ო(?!).

**– როდის დავბრუნდებით აფხაზეთში, როდის დავიბრუნებთ აფხაზეთს, როგორია ჟურნალისტ თენგიზ პაჭკორიას პროგნოზი?**

– ამ საკითხზე პროგნოზის გაკეთება ძალიან რთულია. ქართველების გაძევება აფხაზეთიდან და აფხაზეთის მოწყვეტა საქართველოდან (თუნდაც დროებით) ძალიან დიდი ხანი მზადდებოდა, სპეციალისტების აზრით ჯერ კიდევ ცარიზმის დროიდან, შემდეგ კი, უფრო აქტიურად ხრუშჩოვის ეპოქიდან და ა. შ. განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის დაშლის დროს გააქტიურდნენ რუსეთში ის ძალები, რომლებმაც გამოიყენეს აფხაზები, როგორც "დუბინკა" საქართველოს წინააღმდეგ, რათა შეენარჩუნებინათ საქართველო რუსეთის გავლენის სფეროში. ამას წინათ სეპარატისტთა ერთ-ერთმა აქტივისტმა ზურაბ აჩბამ აღიარა: "აფხაზეთი ის ყულფია, რომელიც რუსეთმა საქართველოს ყელზე ჩამოაცვა, იმისათვის რომ იგი თავისი გავლენის სფეროში მოექცია".

აფხაზეთის დაბრუნების და აფხაზეთში ჩვენი დაბრუნების შანსი ყოველთვის გვექნება, მაგრამ დაბრუნება უფრო ძნელია, ვიდრე დაკარგვა.

დღეს კი იმ იმედით ვცხოვრობთ, რომ უთუოდ დავბრუნდებით აფხაზეთში, ვიცხოვრებთ იქ და მე და ჩემი კოლეგები თავისუფლად გადავცემთ სოხუმიდან რადიოტელერეპორტაჟებსა და საგაზეთო სტატიებს.

**P. S. აქვე გთავაზობთ აფხაზეთის რადიოს ქართული რედაქციის რედაქტორის, ჟურნალისტ მერი თოდუას ნარკვევებს, რომელიც აფხაზეთის ომის თემას ეძღვნება.**

**ინტერვიუს უძღვებოდა ნუნუ კუპრეიშვილი**

# თავგანწირვა



მერი თოდუა

სოხუმის დაცემის პირველი კვირა იყო, აოხრების, ძარცვა-გლეჯის, უდანაშაულო ქართველთა ხოცვა-ჟლეტის, სეპარატისტთა სისხლიანი ღრეობის პირველი საშინელი კვირა. კვამლი სდიოდა ნასახლარებს და იმ კვამლში აფხაზთა მიერ გარეთ გამოყრილი ქართული წიგნების კვამლიც მიიწევდა ცისკენ.

... დაცარიელებულ გზაზე დამფრთხალი ქალი გამოჩნდა. სწრაფი ნაბიჯებით მოდიოდა. უბედურების გრიგალ-გადავლილ ქუჩებზე ნანახ სურათებს კრიჭა შეეკრა მისთვის. სახეზე უზომო ტკივილი აღბეჭდოდა. ნაბიჯს მოუხშირა, რათა მალე მიეღწია სახლამდე და იქ მიეცა გზა დაგუბებული ცრემლებისათვის. ნაცნობ შესახვევთან შეუხვია და ისევ, უკვე მერამდენედ, წააწყდა ქართული წიგნების ჭიაკოკონას. რამდენი წიგნი იწვოდა — ათასი? ორი ათასი? იქნებ მეტი? ან რომელი ქართველის ოჯახიდან იყო? ერთმანეთში ირეოდნენ ნარინჯისფერი, ცისფერი, მწვანე, ცისარტყელას ყველა ფერის ცეცხლის ენები. ხან ყომრალი შავი ბოლი ავარდებოდა, ფერფლს აშლიდა-დაატრიალებდა; შეირხეოდნენ ალები და კიდევ ახალი ძალით აგიზგიზდებოდა ცეცხლი.

ქალი შეჩერდა. ღმერთო, როგორ ტკაცუნობდნენ, თრთოდნენ, ცახცახებდნენ, იგრიხებოდნენ და ცეცხლის კერძნი ხდებოდნენ ფურცლები! დამწვარ ქაღალდზე ერთ ხანს შავად ჩანდა გედივით ყელმოღერებული ქართული ასოები და შემდეგ ღადარში ცვივოდა და იშრიტებოდა. ქალმა

ამ ქვეყნად ზომა-წონა ყველაფერს აქვს. აწონილია დედამიწა, აწონილია წერტილი, რომელსაც წინადადების ბოლოში ვსვამთ და სულიც კი, რომელიც ამოხდება ადამიანს სიკვდილის წინ, ამ ბოლო ხანებში ისიც გავიგე, რომ შემოიღეს ახალი ერთეული “ბინი”, რომლითაც გაიზომება მოზღვავებული ინფორმაციის ნიაღვარი.

მაგრამ შეიძლება, აიწონოს უბედურება, სევდა, ტრაგედია, ტკივილი, რომელიც ადამიანს ატყდება თავს?! იქნებ ამიტომაც არის, რომ უკიდეგანო სამყაროს პატარა ქმნილებას — ადამიანს ზოგჯერ გაუსაძლისი ტკივილისაგან ან გული უსკდება, სიგიჟემდე მიდის ან თავს იკლავს. დიახ, ვინ აწონოს უბედურება, რომელიც ერთ სოხუმელ ქალბატონს დაატყდა თავს! ჰყავდა დედ-მამა, ვაჟკაცი მეუღლე ფარად ედგა გვერდით და თავის მყუდრო სავანეში სამ პატარას ზრდიდა. აფხაზებმა საქართველოდან მოწყვეტა მოინდომეს და დაიწყო ძმათამკვლელი ომი. ოჯახის უფროსი მამულის დასაცავად წავიდა და პირველსავე ბრძოლებში დაიღუპა. ახალგაზრდა ქალს ფრთა ჩამოტყდა მეუღლის დაკარგვით. მაგრამ ორი ადამიანის ძალა ჩაიდგა და ოჯახის ჭაპანი გასწია. რა აძლებინებდა სოხუმში პატარების დედას? იმედი, რწმენა, რომ სოხუმის აღება შეუძლებელი იყო. მაგრამ ქალაქი დაეცა... იგი ხანდაზმული მშობლებითა და მცირეწლოვანი ბავშვებით სვანეთის გზას შეუყვა. მოხუცმა დედამ და მამამ ვერ აიტანეს მთა-მთა სიარული და გზაში დალიეს სული. საკენსა და უღელტეხილს შუა გაიყინა ორი ბავშვი. განა ახსოვს დედას, ან კი შეიძლება გაახსენდეს ადამიანს, სად დაასაფლავა გზადაგზა დაღუპულები, როცა მესამე ბავშვი მძიმე ავად გაუხდა და მთელი გულისყური მისი გადარჩენისკენ მიმართა! სიცივეში, თოვლში მიაბიჯებდა დედა შვილახუტებული; თავად გაყინული, გულში მაგრად იკრავდა პატარას, რათა ოდნავი სითბო მაინც ეწილადებინა ბავშვისთვის. ახლოს არავინ იყო. ყველა საკუთარი სიმძიმის ქვეშ მოხრილი მილასლასებდა აღმართზე. და პატარა გული დედის აკანკალებულ გულს დააცივდა. გამშრალმა ქალმა ლამის მკერდი გაიპო და შიგ ჩაისვა თავისი პატარა ნაბოლარა. ახლა ეს იყო ერთადერთი, რომელიც ოჯახიდან შერჩა. გაშეშებული თითებით დაუხუჭა თვალები.

— არა, არა, აქ არ დაგმარხავ, შვილო; იქ, სამეგრელოში, შენ იქნები ჩემი დედ-მამის, ქმრისა და ორი შვილის საფლავების საფლავი; მეც იქ მოგიწევები გვერდით, დედიკო, შენი უბედური დედა. იქ დავიღამებ და გავითენებ, იქნებ შენ საფლავზე მაინც გამისკდეს გული და გათავდეს ყველაფერი, — ჩურჩულებდნენ ბაგეები..

... დედამ აცახცახებული ხელებით ჩანთაში ჩადო შვილის ნეშტი. გზა გააგრძელა. მიაბიჯებდა დედა. მიაბიჯებდა სისხლგამშრალი, იგი გამოეთხოვა ყველაფერს ამქვეყნიურს და მიჰქონდა ძვირფასი ტვირთი.

# ბაძაჩუვა

შეხედა კოცონს. აფსუები ვაჟას წვავენ, გალაკტიონს? ამით რას დააკლებენ მათს გენიას, — სინანულით გაივლო გულში და თვალთაგან ცრემლი ჩამოუგორდა. ის იყო, გზა უნდა განეგრძო, დედა ენა დაინახა. იგი ალმოდებული წიგნებიდან რაღაც ნახევარი მეტრის დაშორებით ეგდო. ჯერ არ ეკიდა ცეცხლი, მაგრამ ახლოს მოლაპლაპე ალისგან კიდეები შეტრუსოდა, ყდა დაბურცოდა, ფურცლებს თამბაქოს ფერი დასდებოდა და ნიავის ერთი შემოქროლვა კმაროდა, რომ დედაენა აბრიალებულიყო. არა, არა, ამას არ დაუშვებდა დედა, ეს წიგნი... მისი შვილებისა და ყველა ქართველი ბავშვის დამფრთიანებელი და დამკვალიანებელი... ქალი დაიხარა, დედა ენას ხელი დასტაცა, წამით წიგნის სიმხურვალემ შეაკრთო, მაგრამ მყისვე კაბის საკინძე შეიხსნა, დედა ენა უბეში ჩამალა და სწრაფად გაემართა შინისაკენ. ადამიანის აკანკალებულ გულსა და მკერდზე სასოებით გადაჯვარედინებულ ხელებს შორის წიგნი, თითქოს დასიცხული ჩვილივით დედას მიენდოო, ნელ-ნელა დაცხრა, სიმხურვალემ იკლო. ახლა დედა თითქმის სირბილით მიდიოდა. აგერ მისი სახლიც, ჭურვებისაგან ნახევრად დანგრეული, მაგრამ მაინც მისი სახლი... ოთახში შევიდა, დაქანცული ტახტზე დაეშვა. უბიდან დედა ენა ამოიღო, მუხლებზე დაიდო და მწარედ აქვითინდა.



... ჭუბერი. ათიათასობით ლტოლვილი. ზუგდიდიდან ამოდიოდნენ ავტობუსები, თვითმცლელები, სატვირთო და მსუბუქი მანქანები ლტოლვილთა ჩამოსაყვანად. იდგა გნიასი, ღრიალი, ტირილი, წივილი. გარდა მცირე ნაწილისა, ბრბოდ ქცეულ ადამიანებს პირველყოფილი ველურის ჟინით, გაათკეცებული ძალით მიჰქონდათ იერიში ტრანსპორტზე. უბედური დედაც ჭუბერში იყო. დადიოდა ჩანთაახუტებული. შვილის გვამი ხელში ეკავა და სანამ დაასაფლავებდა, კიდევ ცოცხალი ეგონა.

— რა გაჩქარებს, დედიკო, ჩვენი რიგიც მოვა, — ბუტბუტებდა, სათუთად ჰქონდა მოხვეული ხელი ჩანთისთვის, უძვირფასესი განძისთვის და იმ არაადამიანურ ჩოჩქოლს ვერც კი ამჩნევდა. მაგრამ გარეწარი ამჩნევდა მას, მძიმე ჩანთას სასოებით რომ ჩასჭიდებოდა, ამჩნევდა და ლანდივით დასდევდა... უკვე მიხვდებით, რომ დედას მისი განძი... მოპარეს...

და იკივლა დედამ. ყველა უბედური დედის კივილისოდენად აიჭრა მისი ხმა ლურჯი ზეცისკენ და თან წარიტანა მისი გონება, ცნობიერება, აზრი და ტვინი.

ამბობენ, ხაშურში ვნახეთო იგი, ხან ზესტაფონში, სენაკში. რკინიგზის ვაგზალზე გამოდის; იქნებ რკინიგზა რომელიღაც ერთი სალი ნერვით სოხუმთან აკავშირებს; კითხულობს გალაკტიონის ლექსებს, მოუწოდებს ერთობისკენ... გამვლელები ჩერდებიან, ადამიანს ადამიანი ემატება, მის გარშემო გროვდებიან, ბევრს ცრემლი ჩამოსდის უბედური დედის ხილვაზე.

... ადამის შვილნო, ნუ შეხედავთ მას სიბრალულით, რადგან სიბრალული ყველაზე დამამცირებელი გრძნობაა ადამიანის ღირსებისათვის; ხელი აღაპყარით და თაყვანი ეცით მას — თქვენს წინაშე ომის, უსამართლობის და გარეწრობის მსხვერპლის ცოცხალი ძეგლია!

ონავარო ბავშვებო, იყუჩეთ მის წინ და უდროოდ დაღუპული თქვენი თანატოლების დედის დანახვაზე ადრე დაბრძენდით და დავაჟკაცდით!

აქიმნო, თუ თქვენს შორის ვინმე დარჩით ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულნი, მალამოდ დაედეთ სოხუმელი დედის აბორგებულ სულს!

... მას ნახულობენ ხაშურში, ზესტაფონში, სენაკში... მისთვის არაფერი აღარ არის ამ ქვეყნად - არცა სიცოცხლე, არცა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა...

მერი თოდუა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## დალილა ბედიანიძე

### აფხაზეთს

ჩვენ ყველა ქართველი უნდა დავიტიროთ,
მოკლული ომსა და ქარში.
ქვითინებს გიტარა, ქვითინებს გიტარა –
ურთმანეთოდ დავრჩით.

ჩვენ ყველა აფხაზი უნდა დავიტიროთ,
მოკლული ომსა და ქარში.
ქვითინებს გიტარა, ქვითინებს გიტარა –
ურთმანეთოდ დავრჩით.

მაგრამ იმედი გვაქვს ერთი გამარჯვების,
ერთად გავიმარჯვოთ უნდა.
ურთმანეთოდ არა, არ დავრჩებით
და ერთად ვიქნებით მუდამ.

ჩვენი საქართველო რას, რას გაუყვია,
ჩვენია, ჩვენია, ჩვენი!
ისეთი კეთილია, ისეთი გულუხვია,
დრო მოვა გადარჩენის.

ჩვენ ყველა მოკლული უნდა ვიგლოვოთ
ომსა და სუსხიან ქარში,
ისინი, ვინც დაეცით ბრძოლაში უდროოდ
და ბრძოლის ველზე დარჩით.

თქვენ ჩვენთვის ყოველთვის დარჩებით
გმირებად,
იზრდება დღევანდელი ბავშვი.
ჯერ კი... ჯერ-ჯერობით ქვეყანა ირევა
და თქვენს სახელებს ზღვა შლის.

ზღვას ემახსოვრებით და ჩვენ
გვემახსოვრებით,
დრო მოვა სულ სხვა, სულ სხვა
და თქვენი სახელით გრძელდება
ცხოვრება,
თქვენ სულ ზღვა გინახავთ, სულ ზღვა.

ღვის მადლმა! ქართულ ზღვას
ვიცავართ, არასდროს
ვენ არ დავივიწყებთ არავის.
ქვენს წმინდა ხსოვნას ჩვენ მუდამ
ვდარაჯობთ,
დრო გარბის, გარბის, გარბის!

და დღე ახლოვდება ჩვენი გამარჯვების,
დიახ, გაიმარჯვებს ძმობა!
ურთმანეთოდ არა, არ დავრჩებით,
ყველას სძლევს ძმობის გრძნობა.

ურთმანეთოდ არა, არ დავრჩებით,
და გვჯერა, ერთ დროშას გავშლით.
ჰო, დღე ახლოვდება ერთი გამარჯვების
და ამ დღეს შევხვდებით სახლში.

ჰო, გაიზრდებიან უმამო ბავშვები,
შვილსაც ბევრს იგლოვებს დედა.
ურთმანეთოდ კი არა, არ დავრჩებით –
მე წინ სინამდვილეს ვხედავ.

ვიცი, ამიხდება ეს ყველა ოცნება –
ერთიან საქართველოს ვნატრობ.
გმირების სახელები კი დაიკოცნება,
გმირი არ გაქრება მარტო.

თუმცა ლტოლვილები, თუმცა გასაჭირი –
თავზე დაგვატყდა ერთად.
მე კი ერთადერთი რაც მაქვს დასაწერი,
კვლავ გამარჯვებაზე ვბედავ.

ქართველიც, აფხაზიც უნდა დავიტიროთ,
მოკლული ომსა და ქარში,
და მერე საზეიმოდ იმღეროს გიტარამ
იმათზე, ვინც ერთად დავრჩით.

სიცოცხლე გრძელდება და დრო არ
ძველდება
და სულიერი გვაქვს სარჩოც.
შეიშრეთ ცრემლი, შეიშრეთ დედებმა,
თქვენს შვილებს გაუმარჯოს!

ერთიან საქართველოს უნდა გამარჯვება,
ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, არა!
ამოდის მზე და ამ მზეს რა სჯობს!
იგი საქართველოს ფარავს.

იქნება ღიმილი, იქნება ცრემლებიც,
ჩვენ უნდა ვაჯობოთ დრო-ჟამს.
ყველას დაგვიფარავს და შემოგვევლება
დიდი საქართველოს დროშა.

### პოეტებს

ოღონდაც კვნესა არ დაგცდეს!
კვნესა პოეტებს არ გვშვენის,
უნდა გავუძლოთ ჩვენ ამ წლებს,
არის რამდენი საშველი!

ოღონდ არ დაგცდეს კვნესა და
ოღონდ არ დაგცდეს წუწუნი,
როს ეს ცხოვრება გიწუნებს
და ამ ცხოვრებას იწუნებ!

არ დაგავიწყდეს ქვეყნისკენ
პირისპირ შემობრუნება
და მტერს ზურგი არ უჩვენო!
„მტკიცედ სდგა!" – გითხრა ბუნებამ.

ქვეყნად რამდენი გზა არის!
შენც აირჩიე რაიმე,
ოღონდ კვნესა არ წამოგცდეს,
ოღონდაც არ თქვა „ვაიმე"!

სახელოვანი სიკვდილი
გერჩიოს უსახელობას –
ახლა ხელობის დროც არის
და აირჩიე ხელობა!

და აირჩიე, ხვალიდან
თავი რით უნდა ირჩინო,
ლექსი ამდენს ვერ აიტანს,
ამას არ უნდა ჩიჩინი!

ლექსი ათასში ერთია
და სანამ მოვა, რას იზამ?
ულექსოდ რას სად იშოვი,
გროში არა ღირს ასი ზმნა!

ოღონდაც კვნესა არ დაგცდეს!
კვნესა პოეტებს არ გვშვენის,

---

# თავისუფლებისაკენ სავალ გზაზე

ჩვენი დღევანდელობა ახალი დემოკრატიის, ეროვნულ და სოციალურ საფუძველზე დამყარებული დემოკრატიის ხანაა. იგი გამორიცხავს საზოგადოების დაყოფას კლასებად. დემოკრატიის ამ ახალ ფორმას, შეიძლება ვუწოდოთ "სოციალურ-ეროვნული დემოკრატია". პროგრესულია თუ არა იგი დემოკრატიის წინამორბედ ფორმასთან შედარებით? ეროვნულობა ადამიანთა ერთობის ბუნებრივი და კლასობრივზე გაცილებით ფართო ცნებაა. თუ კლასობრიობა და პარტიულობა ადამიანებს მხოლოდ იდეურად აკავშირებს, ეროვნულობა-გენეტიკურადაც აერთიანებს. მისი საფუძველია ერთიანი კულტურა, ტრადიციები, ენა, სარწმუნოება და ტერიტორია, რომლის უზენაესი მიზანიც ეროვნულობის შენარჩუნება-განვითარებაა. ამ უზენაეს მიზანთან ყოველგვარი კლასობრივი და პარტიული ინტერესი უფერულდება. ამგვარად გაცნობიერებულმა ეროვნულმა ინტერესებმა უნდა გამორიცხოს ურთიერთმორჩილების მომენტი და მის ნაცვლად ურთიერთპატივისცემის პრინციპი შემოიტანოს. ეს თავისთავად დაამკვიდრებს ერთი მხრივ, სოციალური სამართლიანობის მივიწყებულ ტრადიციებს, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცავს თითოეულის ინტერესებს, მიზნებსა და შეხედულებებს, რამეთუ ეროვნული პრინციპით გაერთიანებულ ადამიანებს მართლაც, ბევრი რამ აქვთ საერთო. ეროვნული თვითშეგნების ამაღლება და ეროვნული პრინციპით გაერთიანება გაცილებით ჰუმანურს ხდის დემოკრატიას.

ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებული დემოკრატია ბევრად უფრო ეთიკური, ხოლო პიროვნება უფრო აქტიურია, რადგან იგი თავისი ერის ინტერესებს ემსახურება. "სოციალურ-, ეროვნული დემოკრატია" მინიმუმამდე დაიყვანს პოლიტიკურ დიქტატურას, ხოლო მისი მაღალმორალური, ეროვნული პრინციპები ჩამოაყალიბებს არა მხოლოდ პოლიტიკურ დემოკრატიზმს, არამედ ადამიანთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ურთიერთობებს. ამას შესანიშნავად ადასტურებს საზოგადოების ისტორია, რომელიც თითოეულ ერში "ოქროს ხანის" არსებობის საფუძვლად სწორედ მტკიცე სოციალური და ეროვნული პრინციპების უზენაესობას მიიჩნევს.

"სოციალურ-ეროვნული დემოკრატია" ეროვნული მოძრაობის სულისკვეთებას გამოხატავს და მიმართულია ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, რაც საფუძველი იქნება ზოგადდემოკრატიული და ზოგადეროვნული პრინციპების ჩამოყალიბებისა. სწორი მართვის შემთხვევაში იგი დიალექტიკურ მთლიანობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გავუძლოთ ჩვენ ამ წლებს,
უნდა მოვნახოთ საშველი!

## მოძღვარს

ვანთივარ, როგორც ბნელეთში სხივი
და სიტყვებს მაწვდის თვითონ მესია.
იქ, სადაც სიტყვა მარადის ღვივის,
ყველას ჰყავს მრევლი და ეკლესია.

ვანთივარ, როგორც ბნელეთში სხივი...
უნდა ვენთოთ და უნდა გვახსოვდეს,
რის გამოც გულში მამალი ყივის,
არც დავივიწყოთ აღარასოდეს!

## გული

გულის მაგიერ მზე მიცემს მკერდში
და მჯერა, ეს მზე ჩემი გულია.
ლექსები შემრჩა და ლექსებს შევრჩი
და ჩემში მეფობს ლექსი სრულიად.

ალბათ, ოდესმე ჩემი მზეც ჩავა
და ჩაცხრებიან მისი მითები,
მე კი გავხედავ სხვა მზეებს მრავალს,
გავხედავ შორით და ავტირდები.

## როცა

როცა მკითხველი ბედიანიძე
ვხდები, არა მაქვს მოცლა.
ამდენ წასაკითხს რა დამავიწყებს!
ვკითხულობ, დამწერს ვლოცავ.

როცა მწერალი ბედიანიძე
ვარ, უფრო ველარ ვიცლი.
და რაც დავწერე, ასჯერ ვამოწმებ –
ხომ არ მაჭმევენ სირცხვილს?

სულ ასე უნდა ვირითმო,
ამას არ უჩანს ბოლო
და ძლიერ მიკვირს იმისი,
ვინც კი სხვაგვარად ცხოვრობს.

## ცეკვა "შეჯიბრი"

ჩემზე უფროსებს, თუ ვეჯიბრები,
მათია მომავალი.
მე მჯერა მათი მძლე ნაბიჯების,
მათი ფხიზელი თვალის.

ჩემზე უფროსებს, მე თუ ქედს ვუხრი,
წარსული მათი არი.
თუმც მათი რჩევა არ არის უხვი,
რჩევითაც გავიხარებ.

უკეთ იციან! იმათ ებარა
ჩვენი სამშობლო მხარე.
ისევ ჟღერს მათი წინწილ-ებანი,
ისევ გამზერენ "ხვალეს".

კარგია, შეჯიბრს ვინც შეჰყვა,
ვინც კი დაუდო გული
ჩვენი წყალობით რჩება
სამშობლო მოგებული.

## ნიბლია

შენ, ჩემო ჩიტო ნიბლიავ
ამ ომშიც ჩემთან დარჩი.
შენს გვერდით სხვა ამინდია
გასაჭირსა და დარდში.

ნიშანი ბედნიერების
მაგ გაშლილ ფრთებზე გიჩანს.
შენს გვერდით ვერ მომერევა
ვერავინ! დავალ ყინჩად.

შენ სულ იყავი ოღონდ,
ოღონდ სულ ასე მდიე!
მტერს სულ ვუტირებ მომგონს
და ვაცვლევინებ იერს.

შენ, ჩემო ჩიტო ნიბლიავ,
ჩემთან იყავი დარში.
ავდარშიც, სხვა ამინდშიაც
ისევე ჩემთან დარჩი!

ოჰ, წარსულს რა დამავიწყებს!
გახსოვს, რა მწარე იყო?
ბევრი გადარჩა სამიზნე
და ახლა დაცვას ითხოვს.

ოღონდ არ მიმატოვო,
და შენ არ განმერიდო!..
შენი ვარ მხოლოდ, მხოლოდ,
ნიბლიავ, ჩემო ჩიტო!

## ჩიტი

ჯერ გულში ჩიტი მიფრინავს
და მივიმღერი ცეკვით.
ასე მგონია, ძვრას ვუზამ
ამ დიდ მთა-გორებს ნეკით.

მე ჯერ არ შემშინებია
არაფრისა და არვის.
ჩემთვის ლოცულობს ბებია
და მისი ლოცვა მფარვის.

მე დედის ფრთებიც მიფარავს
და მამის ჩრდილიც მშველის.
ტყეში დგას ჩემი წიფელი
და შველი ფეხშიშველი.

ჩემია ცა და ქვეყანა,
ჩემი და ჩემი ძმისა.
რა შუქი გადაეყარა
წინაპრის ნასროლ ისარს!

რა შუქი გადაეყარა
წინაპრის ხმას და ანდერძს.
ანდერძის ასრულება კი
მე სხვას ვერავის ვანდე.

ჯერ გულში ჩიტი მიფრინავს
და წინ მივფრინავ ჯერეთ.
თვითონ ვასკდები წინ-წინო
და დარიგების მჯერა.

მჯერა ბრძენკაცის სიტყვისა
და დედო-ზარის რეკვის.
ჯერ გულში ჩიტი მიფრინავს
და მივიმღერი ცეკვით.

მოაქცევს კერძო ეროვნულ და ზოგადეროვნულ ინტერესებს და საზოგადოების განვითარებას საკაცობრიო ხასიათს მიანიჭებს.

რაც შეეხება ეკონომიკის სფეროს, მისი გარდაქმნის პროცესი, დაემთხვევა რა "სოციალურ-ეროვნული დემოკრატიის" ჩამოყალიბებას, თანდათან დაიხვეწება და ჭეშმარიტი თავისუფლების შემთხვევაში, განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწევს.

საფუძველი, რომელიც "სოციალურ-ეროვნული დემოკრატიის" პირობებში ეკონომიკას მომგებიანს გახდის, მდგომარეობს ეროვნულობაში გენეტიკურად არსებული საკუთრების ფორმის ე. წ. "ჩემისა" და "შენის" ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ "ჩვენის" და "თქვენის" პრინციპების ბუნებრივ მოქმედებაში. ეს გამომდინარეობს ერში კოდირებული თვითშენახვისა და თვითგადარჩენის პრინციპიდან, რომელიც ისევე, როგორც "ჩვენისა" და "თქვენის" პრინციპი, ერის სუბიექტური ცნობიერებიდან იღებს სათავეს. მეტიც, განსხვავება მათ შორის გაცილებით სეროოზულ ხასიათს იღებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეროვნული ცნობიერება სუბიექტურ ცნობიერებაზე უფრო მეტად უნდა უპასუხებდეს ზოგადსაკაცობრიო ინტერესებს. ამიტომ, ეროვნულ ცნობიერებაში კოდირებული "ჩვენი" და "თქვენი" და ასევე თვითშენახვისა და თვითგადარჩენის პრინციპები ბევრად უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია სუბიექტურ პრინციპებთან შედარებით.

ამიტომაც ეროვნულ პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკა ბევრად უფრო მომგებიანი იქნება კლასობრივ საფუძველზე აგებულ ეკონომიკასთან შედარებით, ვინაიდან ეს უკანასკნელი თავისი ბუნებით გაცილებით უფრო სუბიექტურია, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი დღევანდელი ეკონომიკური სიდუხჭირე მხოლოდ კლასობრიობის პრინციპის არსებობის შედეგი არ არის. აქ მოქმედებს მრავალი სოციალური თუ წმინდა ეკონომიკური ფაქტორი. უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება განაწილების მექანიზმი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით დამახინჯებულად იმართებოდა. მეორე მხრივ, არ შეიძლება, განვითარებულ ქვეყნებში არსებული მძლავრი ეკონომიკის საფუძვლად მხოლოდ სუბიექტური "ჩემისა" და "შენის" პრინციპის არსებობა მივიჩნიოთ. ამ მხრივ უფრო ეფექტურია "ჩვენი" და "თქვენი", ვინაიდან მასში ეროვნული ფენომენის ზოგადსაკაცობრიო სიმაღლემდე აყვანილი მომენტის გარდა, აქტიურად მოქმედებს ერთიანობის მძლავრი მექანიზმი. ერთიანობა ხომ ისტორიულად მრავალნაცადი ძალაა არა მარტო ეკონომიკის, არამედ პოლიტიკის, რელიგიის და სხვა სფეროებშიც.

ამრიგად, "სოციალურ-ეროვნული დემოკრატიის" სტრატეგიული მიზანია თითოეული პიროვნების სრული თავისუფლება.

თუ "სოციალურ-ეროვნული დემოკრატია" პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით საზოგადოების პროგრესს შეუწყობს ხელს, ეს მით უმეტეს თვალსაჩინო იქნება მეცნიერებასა და ხელოვნებაში, სადაც პიროვნება ყველაზე სრულყოფილად ავლენს თავის ეროვნულ, სოციალურ და გენეტიკურ თვისებებს.

**ნათელა მაისურაძე,**
**ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი,**
**თბილისის ბიზნესისა და სოციალურ-ეკონომიკური მართვის უნივერსიტეტის პრორექტორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის საშიში ვითარების მომწიფების პერიოდში ჩვენ, სამხედრო პირებმა, ალბათ, ყველაფერი ვერ გავაკეთეთ, რათა ი. ბ. სტალინი დაგვერწმუნებინა, რომ უახლოეს ხანში გერმანიასთან ომი გარდაუვალი იყო და ოპერატიული, სამობილიზაციო გეგმებით დასახული საჭირო სასწრაფო ზომები უნდა განგვეხორციელებინა.

... ამჟამად არსებობს სხვადასხვა ვერსია იმასთან დაკავშირებით, ვიცოდით თუ არა ჩვენ ომის დაწყების კონკრეტული თარიღი და გეგმა.

მე ზუსტად არ შემიძლია ვთქვა, სწორად იყო თუ არა ინფორმირებული ი. ბ. სტალინი, ნამდვილად შეატყობინეს თუ არა მას ომის დაწყების დღე, რადგან ასეთ დიდმნიშვნელოვან ცნობებზე, რომელთაც, შესაძლოა, ი. ბ. სტალინი პირადად იღებდა, არაფერს მეუბნებოდა.

თუმცა ერთხელ მან მითხრა:

– ერთი კაცი მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ჰიტლერული მთავრობის განზრახვის შესახებ, მაგრამ ჩვენ ცოტა ეჭვი გვეპარება...

შესაძლოა, გულისხმობდა რ. ზორგეს, რომლის ამბავი ომის შემდეგ გავიგე.

... 21 ივნისს საღამოს დამირეკა კიევის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა მ.ა. პურკაევმა და მომახსენა, რომ მესაზღვრეებთან გამოცხადდა მტრისგან გადმოსული გერმანელი ფელდფებელი და გერმანელთა ჯარები საწყის რაიონებში შედიან შეტევისათვის, რომელიც 22 ივნისს დილით დაიწყებაო. ეს ყოველივე იმ წუთშივე მოვახსენე სახალხო კომისარს ი. ბ. სტალინს.

... ი. ბ. სტალინის სიკვდილის შემდეგ შეიქმნა ვერსიები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი სარდალი და მისი შტაბი 21 ივნისის ღამით არაფერზე ეჭვობდნენ და მშვიდად ეძინათ ან უდარდელად მხიარულობდნენო, ეს არ შეეფერება სინამდვილეს. უკანასკნელი მშვიდობიანი ღამე სულ სხვაგვარი იყო...

... 4 საათსა და 10 წუთზე დასავლეთის და ბალტიისპირეთის ოლქებმა მოგვახსენეს, რომ ოლქების სახმელეთო უბნებზე დაიწყო გერმანელთა ჯარების საბრძოლო მოქმედებანი.

დილის 4 საათსა და 30 წუთზე პოლიტბიუროს ყველა გამოძახებული წევრი შეიკრიბა. მე და სახალხო კომისარს კაბინეტში გვიხმეს.

ი. ბ. სტალინი გაფითრებული იჯდა მაგიდასთან და ხელში თამბაქოთი დატენილი ჩიბუხი ეჭირა. მან თქვა:

– სასწრაფოდ უნდა დავრეკოთ გერმანიის საელჩოში.

საელჩოდან გვიპასუხეს, ელჩი გრაფი ფონ შულენბურგი სასწრაფო ამბის გამო მიღებას ითხოვსო.

ელჩის მიღება ვ.მ. მოლოტოვს მიანდეს.

ამასობაში გენერალური შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ გენერალმა ნ.თ. ვატუტინმა გადმოგვცა, გერმანელთა სახმელეთო ჯარები ძლიერი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით მთელ რიგ უბნებზე გვიტევენო.

ცოტა ხნის შემდეგ კაბინეტში სწრაფად შემოვიდა ვ.ი. მოლოტოვი.

– გერმანიამ ომი გამოგვიცხადა!

ი. ბ. სტალინი სკამზე დაეშვა და ღრმად ჩაფიქრდა.

... როცა ერთმანეთს ვუპირისპირებ და ვაანალიზებ ყველა იმ საუბარს, რომლებიც ჩემი თანდასწრებით ჩაუტარებია ი. ბ. სტალინს ახლობელი ადამიანების წრეში, ვრწმუნდები, ყოველი მისი აზრი და მოქმედება გამსჭვალული იყო ერთი სურვილით – თავიდან აეცილებინა ომი და მტკიცედ სჯეროდა, რომ იგი ამას შესძლებდა. ი. ბ. სტალინი მტკიცე ნებისყოფის კაცი იყო და არც მხდალი გახლდათ. რამდენადმე უგუნებოდ მყოფი იგი მხოლოდ ერთხელ ვნახე. ეს იყო 1941 წლის 22 ივნისს, განთიადისას: მისი რწმენა იმის შესახებ, რომ ომი თავიდან აცილებული იქნებოდა, დაიმსხვრა.

... 1941 წლის 22 ივნისის შემდეგ მთელი ომის მანილზე ი. ბ. სტალინი პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად მტკიცედ ხელმძღვანელობდა ქვეყანას, შეიარაღებულ ბრძოლებს და ჩვენს საერთაშორისო საქმეებს.



... თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხდომებზე, რომლებიც მიმდინარეობდა დღე-ღამის ყოველ დროს, როგორც წესი, კრემლში ან სტალინის აგარაკზე, განიხილებოდა და წყდებოდა იმ დროის უმნიშვნელოვანესი საკითხები. სხდომებზე ძალიან ხშირად ცხარე კამათი ჩაღდებოდა, ამასთან მოსაზრებებს გამოთქვამდნენ გარკვევით და მკვეთრად. ი. ბ. სტალინი, ჩვეულებრივ, მაგიდის ახლოს ბოლთას სცემდა და ყურადღებით უსმენდა მოკამათეებს. თვითონ სიტყვაძუნწი იყო და არც სხვების სიტყვამრავლობა უყვარდა. ხშირად შეაჩერებდა ხოლმე მოლაპარაკეთ რეპლიკებით – "უფრო მოკლედ", "უფრო ნათლად". სხდომებს იწყებდა ყოველგვარი შესავალი სიტყვის გარეშე, ლაპარაკობდა ხმადაბლა, თავისუფლად, მხოლოდ საკითხის არსებით მხარეზე. აზრებს მკაფიოდ და ლაკონურად აყალიბებდა.

თუ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხომებზე ერთიანი აზრი ვერ გამოჰქონდათ, იქვე, უკიდურესად საწინააღმდეგო აზრების მქონე მხარეთაგან იქმნებოდა კომისია, რომელსაც შეთანხმებული წინადადებების წარმოდგენა ევალებოდა. ასე ხდებოდა, როცა ი. ბ. სტალინს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შემუშავებული თავისი მტკიცე აზრი. ხოლო თუ ი. ბ. სტალინი სხდომებზე წინასწარი გადაწყვეტილებით მოდიოდა, მაშინ კამათი არ იწყებოდა, ანდა უმალვე წყდებოდა, როგორც კი იგი რომელიმე მხარეს მიემხრობოდა.

... სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ი. ბ. სტალინი, როგორც ომის ხანგრძლივი წლების მანძილზე დავრწმუნდი, სრულიადაც არ იყო ისეთი ადამიანი, რომლის წინაშეც მწვავე საკითხების დასმა, დავა და თვით საკუთარი თვალსაზრისის მტკიცედ დაცვა არ შეიძლებოდა.. თუ ვინმე ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, პირდაპირ ვიტყვი: მათი მტკიცებანი უმართებულოა.

... ი. ბ. სტალინის ახლო გაცნობა მომიხდა 1940 წლის შემდეგ, როცა მე გენშტაბის უფროსის თანამდებობაზე ვმუშაობდი, ომის დროს კი – უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილედ.

ი. ბ. სტალინის გარეგნობაზე არაერთხელ დაწერილა. მიუხედავად იმისა, რომ ტანდაბალი იყო და შესახედაობითაც არ გამოირჩეოდა, ი. ბ. სტალინი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. პოზიორობას მოკლებული, იგი თანამოსაუბრის გულს უბრალოებით იგებდა. ლაპარაკის თავისუფალი მანერა, აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი, ბუნებრივი ანალიზური გონება, დიდი ერუდიცია და იშვიათი მეხსიერება მეტად გამოცდილ და გავლენიან ადამიანებსაც კი აიძულებდა ი. ბ. სტალინთან საუბრის დროს დაძაბულნი და ფხიზელნი ყოფილიყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი

# მოგონებები და ფიქრები

ფრაგმენტები წიგნიდან

ი. ბ. სტალინს არ უყვარდა ჯდომა და ლაპარაკის დროს ნელა მიმოდიოდა ოთახში, დროდადრო ჩერდებოდა, ახლოს მიდიოდა მოსაუბრესთან და პირდაპირ თვალებში უყურებდა. გამოხედვა ჰქონდა ნათელი და გამგმირავი.

ლაპარაკობდა ხმადაბლა, გარკვევით გამოყოფდა ერთ ფრაზას მეორისაგან, თითქმის ჟესტიკულაციის გარეშე. ხელში ხშირად ეჭირა ჩიბუხი, ჩამქრალიც კი, რომლის ბოლოთი ულვაშის გასწორება უყვარდა.

ლაპარაკობდა შესამჩნევი ქართული აქცენტით, მაგრამ რუსული ჩინებულად იცოდა და უყვარდა ხატოვანი ლიტერატურული შედარებების, მაგალითების, მეტაფორების ხმარება.

ი. ბ. სტალინი იშვიათად იცინოდა, ხოლო როცა იცინოდა, ჩუმად, თითქოს თავისთვის. მაგრამ იუმორი ესმოდა და იცოდა გონებამახვილობისა და ოხუნჯობის ფასი. მხედველობა მეტად მახვილი ჰქონდა და უსათვალოდ კითხულობდა. უაღრესად სხვადასხვა დარგის ფართოდ მცოდნე ადამიანი იყო. განსაცვიფრებელი შრომისუნარიანობა, მასალის სწრაფად გაგების უნარი შესაძლებლობას აძლევდა, ერთი დღის განმავლობაში გადაეთვალიერებინა და აეთვისებინა სრულიად განსხვავებული ფაქტოლოგიური მასალის ისეთი რაოდენობა, რომლის დაძლევაც მხოლოდ გენიოსისთვის იყო შესაძლებელი.

ძნელია იმის თქმა, თუ ხასიათის რომელი თვისება ჭარბობდა მასში. ეს მრავალმხრივი და ნიჭიერი ადამიანი ყოველთვის ერთნაირი არ გახლდათ, მას ძლიერი ნებისყოფა, ფარული და ფიცხი ხასიათი ჰქონდა.

ჩვეულებრივ მშვიდი და გონებადამჯდარი, ზოგჯერ გაღიზიანდებოდა, მაშინ იგი კარგავდა ობიექტურობას, პირდაპირ თვალდათვალ იცვლებოდა, ფითრდებოდა, შემოხედვა უხდებოდა მძიმე და მკაცრი. მე ძალიან ცოტა შემხვედრია, ისეთი გულადი ადამიანი, რომელსაც ძალუძდა სტალინის რისხვის გაძლება, მისი დარტყმების მოგერიება.

ი. ბ. სტალინს ცოტა არ იყოს, უჩვეულო დღის განაწესი ჰქონდა: იგი უმთავრესად საღამოობით და ღამით მუშაობდა. დგებოდა არა უადრეს დღის 12 საათისა. მუშაობდა ბევრს, 12-15 საათს დღეღამეში. სტალინის დღის განაწესთან შეწყობით გვიან ღამემდე მუშაობდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სახალხო კომისართა საბჭო, სახალხო კომისარიატები, ძირითადი სახელმწიფო და მეგეგმავი ორგანოები. ეს ძალზე ქანცავდა ადამიანებს.

... ი. ბ. სტალინის დასტურის გარეშე შეიარაღების ან საბრძოლო ტექნიკის არც ერთი ნიმუშის მიღება შეიარაღებისათვის ან მისი ამოღება არ ხდებოდა. ცხადია, ეს გარემოება თავდაცვის სახალხო კომისრისა და მისი მოადგილეების ინიციატივის შესუსტებას იწვევდა.

...მგონი შვიდ თუ რვა მარტს უმაღლესმა მთავარსარდალმა გამომიძახა და მთავარ ბანაკში სასწრაფოდ გაფრენა მომიხდა.

აეროდრომიდან პირდაპირ ი. ბ. სტალინის აგარაკისკენ გავემართე, სადაც იგი იმყოფებოდა და ცოტა შეუძლოდაც იყო.

როცა პომერანიაში და ოდერზე მდგომარეობის შესახებ რამდენიმე შეკითხვა დამისვა და ჩემი მოხსენება მოისმინა, უმაღლესმა მთავარსარდალმა მითხრა:

– წამოდით, ცოტა გავიაროთ, თორემ თავს რაღაც უხალისოდ ვგრძნობ.

მთელ მის გამომეტყველებაში, მოძრაობასა და ლაპარაკში იგრძნობოდა დიდი ფიზიკური გადაღლილობა. ომის ოთხი წლის მანძილზე ი. ბ. სტალინი შესამჩნევად გადაიღალა. იგი მთელი ომის განმავლობაში დაძაბულად მუშაობდა, სისტემატურად ტეხდა ღამეებს, მტკივნეულად განიცდიდა წარუმატებლობებს, განსაკუთრებით 1941-1942 წლებში. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მის ნერვულ სისტემასა და ჯანმრთელობაზე.

სეირნობის დროს ი. ბ. სტალინმა მოულოდნელად გაიხსენა თავისი ბავშვობისდროინდელი ამბები.

ლაპარაკში მთელი საათი გავიდა. შემდეგ მითხრა:

– წამოდით, ჩაი დავლიოთ, ჩვენ ზოგი რამ მოსალაპარაკებელი გვაქვს.

უკან დაბრუნებისას ვკითხე:

– ამხანაგო სტალინ, დიდი ხანია მინდოდა გამეგო თქვენი ვაჟიშვილის იაკობის ამბავი, არის თუ არა რაიმე ცნობა იმის შესახებ, რა ბედი ეწია მას?

ამ კითხვაზე უცბად არ უპასუხნია. ასიოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ, როგორღაც ყრუ ხმით თქვა:

– თავს ვერ დააღწევს იაკობი ტყვეობიდან. დახვრეტენ მტარვალები. არსებული ცნობების თანახმად იგი სამხედრო ტყვეებისაგან იზოლირებული ჰყავთ და აგიტაციას უწევენ სამშობლოს უღალატოს.

ერთი წუთის დუმილის შემდეგ მტკიცედ დაუმატა:

– არა, იაკობი სიკვდილს არჩევს და სამშობლოს არ უღალატებს.

იგრძნობოდა, რომ იგი ღრმად განიცდიდა შვილის ბედს. მაგიდასთან მჯდომი სტალინი დიდხანს ჩუმად იყო და პირს არაფერს აკარებდა.

შემდეგ თითქოს თავის ფიქრებს განაგრძობსო, მწუხარედ წარმოთქვა:

– რა მძიმე ომია. რამდენი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. ალბათ, ჩვენში ცოტა თუ იქნება ოჯახი, მახლობლები რომ არ დაჰკარგვოდეთ!...

* * *

... რამ მიიყვანა გერმანელთა ჯარები ასეთ კატასტროფულ განადგურებამდე და რამ შეუწყო ხელი ჩვენს ისტორიულ გამარჯვებას?

1942 წლის ჰიტლერული სტრატეგიული ყველა გეგმის ჩაშლა იმის შედეგს წარმოადგენდა, რომ სწორედ ვერ შეაფასეს საბჭოთა სახელმწიფოს შესაძლებლობანი და ძლიერება, ხოლო გერმანელები გადაჭარბებით აფასებდნენ საკუთარ ძალებსა და უნარს.

... ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ გაჩნდა ვერსია, რომ იგი თითქოს ერთპიროვნულად იღებდა სამხედრო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ამას არ შეიძლება დავეთანხმოთ. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ თუ უმაღლეს მთავარსარდალს საკითხების საქმის ცოდნით მოახსენებდნენ, იგი მათ მხედველობაში იღებდა. ვიცი შემთხვევები, როცა იგი უარს ამბობდა საკუთარ მოსაზრებებსა და ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. კერძოდ, ასე იყო ნაწილობრივ მრავალი ოპერაციის დაწყების ვადებზე.

კურსკის, ორიოლისა და ბელგოროდის რაიონში გამართული ბრძოლა ერთ-ერთი უდიდესია დიდი სამამულო ომისა და საერთოდ მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში. აქ მთავარია არა მარტო ის, რომ განადგურდა მოწინააღმდეგის რჩეული, ყველაზე ძლიერი დაჯგუფებები, არამედ ისიც, რომ გერმანელ ხალხსა და ჰიტლერის მოკავშირეებს სამუდამოდ შეერყათ რწმენა ჰიტლერელთა ფაშისტური ხელმძღვანელობისა და გერმანიის უნარისა, დაპირისპირებოდა საბჭოთა კავშირის მზარდ ძლიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

წადი, წადი, შენმა ეშხმა გამახელოს ლამის,
ვარდი კი ხარ მაგრამ გშვენის ეკლის მოსასხამი,
თუმც, ადამიც ლხენდა ღმერთთან, იქ, სამოთხის კარად,
მაგრამ ისიც მოიწამლა ორპირობის შხამით.
მიწასა და ზეცას შორის სინათლეა უხვი,
თუმცა, თუკი გაისვარა ცოდვის ტალახ-შლამით,
ეს სინათლეც დაბნელდება ულონოდ და რუხად
და ქვეყანა აივსება მარადიულ ღამით.
მაშინ, როცა მეგობარი დაუნდობლად გიმტრობს,
ღმერთსაც სწყდება, რომ ცეცხლით არ დაებუგოს გვამი.
თავს დავიძრენ შენი თიხის მომთენთავი ზანგით,
ცინცხალი და ხასხასა ვარ, როგორც დილის ნამი.
მე ათასჯერ გავიქცევი, ვით ისარი შლეგი,
მაინც იმ მშვილდის ვუბრუნდები მონადირის ჩქამით.
უყოყმანოდ გამოსცალე სიყვარულის ღვინო,
დალიე და სოფლის ქვა-ღორღს მიალეწე ჯამი.



# ჯალალ ედ-დინ რუმი

## ჯალალ ედ-დინ რუმი

დამარცხებულო სიყვარულის მეუფის მიერ,
არ გაბოროტდე,
ნუ შეიცვლი სახეს და იერს,
ამ მსწრაფლწარმავალ ბაღს შემოდი და წარუვალი
სამოთხე შენი სულის წიაღ თვით მოიძიე.
თუ შენი თავის წინ ერთ ნაბიჯს მაინც გადადგამ,
იგრძნობ, ახლოა ზეცა, სადაც უფალი ჰგიებს,
შემოგაგებებს ის სიკეთის ხასხასა ვარდებს
და გარიჟრაჟის სინათლეთა ციმციმა იებს.
ო, შამსე თაბრიზ, ჩვენ ვართ შენი მონა-მხევლები,
თავზე გევლებით, რადგან ტრფობის მახვილით გვძლიე.

* * *

მიჯნურების ლამაზ ფეხთა მტვერი ვარ,
თუმც მიწა ვარ, მაინც რარიგ ამო ვარ,
დრო მოვა და თუკი დღეს ვარ ტალახი,
ამ მიწიდან ნარგიზებად ამოვალ.
შავს ჩავიცვამ, როგორც ღამე, რომელიც
სიყვარულის დარდმა ასალამოვა,
ხოლო მერე, ამ კუნაპეტ ღამეში
გაბადრული მთვარესავით ამოვალ.
დამწვას ცეცხლმა უიმედო ტრფობისამ,
შლეგი თუ ვარ, შენი ტრფობის გამო ვარ,
ცათა შინა, სადაც ახლა შენა ხარ,
ამ ცეცხლიდან მე კვამლივით ამოვალ.

სპარსულიდან თარგმნა
გიორგი ლობჟანიძემ.

გიორგი ლობჟანიძე დაიბადა 1974 წლის 4 თებერვალს. დაამთავრა ხაშურის №1 საშუალო სკოლა, ხოლო 1996 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.

1991 წელს გამოსცა ლექსების კრებული "ობლის კვერი", 1997 წელს "დუდილის ცრემლი", სპარსულიდან თარგმნა ჯალალ-ედ-დინ რუმის "ყაზალები", თარგმნის ყურანს.

მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრის უფროს მასწავლებლად.

ამჟამად თეირანის ხომეინის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტია.

Დღეს ბევრი რამ აღარ გვიკვირს. ყველაზე საკვირველიც აღარ გვიკვირს. დრომ და სივრცემ თავისი პირვანდელი გარკვეულობა თითქოს დაკარგა, რადგანაც ჩვენს შორის შესაძლოა იყოს ადამიანი, რომელიც სრულიად სხვა დროში, სხვა სივრცეში და სხვა განზომილებაშიც კი ცხოვრობდეს. რამდენადაც ადამიანის გონება ჯერ კიდევ ლოგიკური კრიტერიუმებით ოპერირებს ყოველ შემთხვევაში ბიოსტერულ არსებობაში, ამ მოვლენას ისევ ლოგიკური ჩარჩო მოვუძებნეთ: ასეთი ადამიანი ჩართულია კოსმიურ საინფორმაციო ველში, რომელიც ერთიანია თავისი გარდასულობითაც, აწმყოთიც და მომავლითაც და ასე არსებობს დროის გარეშე. შემოქმედი ადამიანი, მით უფრო დიდი შემოქმედი, ყოველთვის იყო ნაზიარები სამყაროს, რომელსაც მუზათა სამყარო ერქვა. ღვთაებრივთან წილხვედრილობას, შეშთაგონებას, ხილვებს, ზმანებას, წარმოსახულ ყოფიერებას და მრავალ ასეთ სიტყვას ვეძებდით, რათა შეგვძლებოდა ახსნა ხელოვანის გამორჩეულობისა, კურთხეულობისა. ეს ყველაფერი ყოველთვის იარსებებს, მაგრამ მის გვერდით ამავე დროს არსებობს მედიუმური შემოქმედებითი ფენომენი — არსებობა საკუთარი თავის მიღმა, მიღმა საკუთარი დროისა და გარემოსი, ცხოვრება სხვა რეალობაში.

ის, ვინც დღეს საზოგადოებას მსურს წარვუდგინო, ერთგვარად ამ ფენომენის გამოვლენაა, მაგრამ მაინც განსხვავებული, რამდენადაც შემოქმედი სხვა სამყაროული ხედვის მიუხედავად, მთლიანად მონაწილეობს საკუთარ შემოქმედებაში მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი ამდროული ადამიანური განცდებით, საკუთარი სივრცით და საკუთარი საზღვრებით: ფაქიზი, არაჩვეულებრივად ესთეტური და ამაღლებული შინაგანი სამყაროთი.

ეს ახალგაზრდა ქალბატონი თამარ გამყრელიძე, დღემდე ვერ გაიცნო საზოგადოებამ, პატარაობიდანვე აოცებდა ყველას უჩვეულო მუსიკალური ნიჭით, უჩვეულო პროზით და ლექსებით. დღეს კი ხატავს, და ხატავს ქვეყნიერებას, ადამიანებს, საოცრებებს, უცნაურობებს, რომლებიც ამჟღავნებენ და ჩვენთვის გასაგებს ხდიან, თუ რა შორსაა ის მზის ქვეყანა, საიდანაც მისი პოეზია მოდის, საიდანაც მოაქვს სიცოცხლის ზეიმი და სიხარული, როგორ მაღლდება სხვა მზემდე და სხვა სინათლემდე... თითქოს მის სულში, როგორც ბროლის გამჭვირვალე სიკამკამეში, ირეკლება გარდასული ცივილიზაციები, სულში, რომელიც მისი ჯვარცმული ღმერთის წინაშე იდრიკება — მაცხოვრის უკიდეგანო სინათლისადმი მზერა-მიპყრობილი.

**ნელი მახარაძე,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი.

## თამარ გამყრელიძე

* * *

მე ვარ ხატვა, წერა, მუსიკა,
ლოცვები...
მშვენიერება დამაწერინებს —
ახალ სასწაულებს.
მშვენიერებით აღვსილი
სუნთქვა შემოვა ჩემში
და დღესასწაულს
არ ექნება
დასასრული არსად...
მთელი სამყარო იდუმალებითაა
მოცული.
მაინტერესებს შორეული
პლანეტები,
გალაქტიკები.
მნათობებზე — ღვთაებრივი
ცხოვრებაა.
დედამიწა ვარ.
მზეს ველოდები,
მოვა და ყველაფერი
გაირკვევა
ძალიან მალე.

### ხილვა

როდესაც კავკასიაში ჩამოვედი,
აქ დიდი სინათლე დამხვდა.
იდგა ბუნება ამაყი და
ფიქრსასურველი.
მე მენატრება ადამიანი წმინდა,
თავისუფალი და სხივმფინარი.
ისინი დაიწყებენ კოსმიურ
შემოქმედებას.
მე ვიცხოვრებ კავკასიაში
და სამყაროს გულისთქმას
მივაყურადებ.

### წინასწარმეტყველება

უფლის სუნთქვა ისმის ჩემამდე. დედამიწას შემოადგა ნათელი სხივი. სამყარო დაელოდება ახალ ცვლილებებს და გახდება მოწმე ღვთაებრივი სასწაულების. ჭეშმარიტი გზით მიმავალ თავისიანებს შემოიკრებს და დამკვიდრდება სიყვარული ახალ მოდგმაში.

მე არაფერს ახალს არ ვამბობ. მე მხოლოდ ვიმეორებ ერთხელ დაწერილს, რადგან ეს ჩემთვის უდიდესი სიხარულია.

### საგალობელი





ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამარის სიზმარი

ზურაბ რატიანი

ბედნიერი საქართველოს ბრწყინვალე მეფეთ-მეფის, ღვთაებრივი თამარის სიზმრის არსის გასაგებად აუცილებელია შემდეგ გარემოებათა გათვალისწინება.

კაცობრიობის ისტორიაში ძირითადად ორი ტიპის სახელმწიფო ჩამოყალიბდა. პირველ მათგანს თვითგანვითარების უნარი აქვს, მეორე – ამ უნარს მოკლებულია.

პირველი ტიპის სახელმწიფოები დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდნენ. ისინი მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ეს ხელს უწყობდა მათ განვითარებას.

თითქოსდა ისტორიის პარადოქსიაო, დასავლეთ ევროპას დაშორებული საქართველო, რომელიც ყოველთვის თვითგანვითარების უნარს მოკლებული სახელმწიფოებით იყო გარშემორტყმული, თავიდანვე დასავლეთ ევროპული ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

კიდევ უფრო უცნაურია, რომ ეული მუხასავით განმარტოებული საქართველო, განვითარების ტემპებით თვით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს უსწრებდა, XIII საუკუნის დამდეგამდე.

საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი XII საუკუნეში, კერძოდ, თამარის ეპოქაში მეტი იყო, ვიდრე ირანის, ერაყის, თურქეთისა და თვით ინგლისის და საფრანგეთის შემოსავლებიც კი.

რა გზით შეიძინა თამარის საქართველომ ზღაპრული სიმდიდრე,ძარცვა-გლეჯით, როგორც ამას სჩადიოდნენ აღმოსავლური დესპოტიები, დასავლეთ ევროპელი ჯვაროსნები (რასაც დღესაც სჩადის ე. წ. "ელიტური" ქართველობა), თუ ქვეყნის აღმაშენებით?

აღმაშენებით!!!

დიდი ქართველი მეცნიერები სიმონ ჯანაშია და ნიკოლოზ ბერძენიშვილი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფეოდალურმა საქართველომ განვითარების უმაღლეს დონეს ეკონომიკის, კულტურის, პოლიტიკის სფეროში თამარის მეფობაში მიაღწია.

ამ საკითხზე მრავალი წლის მუშაობის შედეგად დავრწმუნდი, რომ თამარის ეპოქაში, ასევე განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია სოციალურმა ურთიერთობებმა.

ამრიგად, დიდ მეცნიერთა დასკვნა, რომ თამარის ეპოქის შემდგომი საქართველოს წინსვლა-განვითარება მხოლოდ ფეოდალიზმის რღვევის, კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვა-განვითარების გზით იყო შესაძლებელი და რომ საამისო პროცესი უკვე დაწყებული იყო, – ეს დასკვნა მეცნიერულად სავსებით დასაბუთებულია და, ამიტომ, სწორია.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ არა ძარცვა-გლეჯას, არამედ ქვეყნის აღმაშენებას აღუვსია დოვლათით თამარის საქართველო!

ცხადია, საქართველოს რომ დაცლოდა, დღეს დიდი, ბედნიერი დემოკრატიული სახელმწიფო იქნებოდა, მაგრამ არ დასცალდა, XIV საუკუნის მიწურულიდან, საუკუნეების განმავლობაში, აღმოსავლური ურდოების ურიცხვმა, გამანადგურებელმა შემოსევებმა ისე გაასწორეს მიწასთან ბრწყინვალე ქვეყანა, რომ დღემდე წელში ვეღარ გამართულა.

მაგრამ მტერმა მაინც ვერ მიაღწია მთავარ მიზანს, – ქართველი ერის სრულ ფიზიკურ განადგურებას და ვერც გადარჩენილი ქართველობის გადაჯიშება მოახერხა.

და რაც ველურ ურდოებს გადაურჩა, იმის განადგურება იწყო ჯერ მეფის, შემდეგ საბჭოთა რუსეთის იმპერიამ.

მოყვარე მტერმა ეროვნული ცნობიერების დედაბოძის – ისტორიული მეხსიერების განადგურება დაიწყო საქართველოში. მზაკვარმა მტერმა კარგად იცოდა, თუ ერის ისტორიულ მეხსიერებას მოსპობდა, მაშინ ერის დედა ენა გადაშენდებოდა, ან "უკეთეს შემთხვევაში" პატუა-საოჯახო ენად იქცეოდა, ესე იგი, დაკარგავდა ერის დუღაბის – ამაღორძინებელის ფუნქციას.

ერის ისტორიული მეხსიერების უდიდესი მნიშვნელობის გამო წერდა დიდი ილია: "არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს".

ამ უბედურებისაგან იცავდნენ ქართველ ერს დიდი ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია და ნიკოლოზ ბერძენიშვილი. და ამის გამო ებრძოდა მათ, უმეტესად ფარულად, საბჭოთა, ანუ რუსული იმპერიალისტური იდეოლოგია.

მოყვარე მტერმა განსაკუთრებით იმძლავრა ე. წ. "განვითარებული სოციალიზმის" დროს. მაშინ მიიჩქმალა (მიიჩქმალა, რადგან აზრს უაზრობით ვერ მოსპობ!) დიდ ქართველ ისტორიკოსთა ზემოთდამოწმებული დებულებაც, ხოლო სანაცვლოდ მომრავლდა ე. წ. ნაშრომები, რომლებშიც ან ნახევარი სიმართლეა ნათქვამი, ან საერთოდ გაყალბებულია საქართველოს ისტორია.

უბედურება ის არის, რომ ჩვენს ბედუკუღმართ დროში, ისევე გრძელდება საქართველოს ისტორიის გაყალბება...

ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენს თამარის სიზმარი?

"ქართლის ცხოვრება" – საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ჭეშმარიტი იდეოლოგიური სარკე, – თამარის ისტორიკოსის პირით მოგვითხრობს, რომ თამარ მეფემ სიზმარი ნახა: "სიკეთესა და შუენიერებასა მისსა სამოთხისასა

მოთხრობა შეუძლებელ". სამოთხეში, სხვა საოცრებათა გარდა, ყოფილა ოქრო-ვერცხლით შემკული ტახტებიც, მეტ-ნაკლები სიდიდე-ღირსების. დაინახა თამარმა ეს ტახტები და გაიფიქრა: "მეფე ვარ მპყრობელი და ჩემი არს უზენაესი და უპატიოსნესი ესე საჯდომი". გაემართა დასაჯდომად, მარამ იგი შეაჩერა ნათლით მოსილმა კაცმა და უთხრა, – შენ არ გეკუთვნის ყველაზე აღმატებული ტახტიო. თამარმა ჰკითხა: "ვინ უპატიოსნეს არს ჩემსა, რომელმან დაიპყრას უპატიოსნესი საჯდომი"?

კაცმა უპასუხა: "საყდარი ისი შენი დიასახლისისა არს, ამისათვის რომელ ათორმეტთა მღვდელთა მისთა ხელთა შესთული ჰმოსიეს... ამისათვის იგი უზეშთაესი შენსა არს: დაღაცათუ შენ მეფე ხარ, კმა არს შენდა დიდება ეს, დაღათუ საყოფი შენი აქვე არს". და უჩუენა უდარესი და უუნდოსი".

გამოიღვიძა თამარმაო, განაგრძობს ისტორიკოსი, მოიხმო დიასახლისი და მანაც ყოველი დაუდასტურაო.

ამის შემდეგ იწყოო თამარმა: "ალექსანდრით ვაჭართა მოღებულისა მატყლისაგან სთვად და ქმნად შესამოსელისა, ვიდრემდე ათორმეტად სრულყოს".

დაბოლოს, ისტორიკოსი დასძენს: "თქმულ არს ესეცა, დაღათუ მოუწყობელ არს სიტყუა ვითარმედ თვისითა ხელითა ამასაცა შურებოდა... ხელითსაქმარი მისი განყიდის და ეგონ ფასი ახელსაქმარის და მისცის არა სამეფოდ შემოსავალთაგან".

რა თქმა უნდა, თამარის სიზმარი შემთხვევით არ არის ჩართული "ქართლის ცხოვრებაში". თამარის სიზმარის სახით, ისტორიკოსი თამარის ეპოქის იდეოლოგიურ მრწამსს გამოხატავს. ამგვარი ხერხით, ქრისტიანული რელიგიის, ანუ გაბატონებული იდეოლოგიის გარსში, მან მწარმოებლური შრომის აპოლოგია გადმოგვცა უაღრესად შთამბეჭდავი ფორმით, რაც, ცხადია, სავსებით შეესაბამებოდა თვითონ ქრისტიანობის არსს.

თამარის სიზმარში ნათქვამია, რომ თვითონ ღვთისსწორი, მზე-თამარი, უდიდესი მეფეთ-მეფე და უებრო პიროვნება, რომელიც ჭეშმარიტად სამოთხის ღირსი იყო, აი, ამ სამოთხეში მოხვედრისას, ნათლით მოსილი კაცის პირით, ესე იგი, ღვთის ჩაგონებით რწმუნდება, რომ მასზე, თვით მზე თამარზე (!) მაღლა დგას უბრალო მშრომელი (!), რომელსაც საკუთარი სახელითაც კი არ ახსენებს ისტორიკოსი!

და განსხვავებით ჩვეულებრივი, მოკვდავი მონარქებისაგან, ამის გამო თამარი კი არ აღშფოთდება და მეფურ რისხვას კი არ ამჟღავნებს, პირიქით, ღვთაებრივი მორჩილებით, – გენიალური შორსმჭვრეტელობით იწყებს მწარმოებლურ შრომას და ვაჭრობას. მართალია, სიზმრად თამარს მხოლოდ ხელით შრომა ჩააგონეს, მაგრამ იგი, ვითარცა წმინდა სამების მეოთხე წევრი, ვაჭრობას თავად აცხადებს ისეთივე წმინდა საქმედ, როგორიც ხელით შრომაა. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან მეფე ღმერთის ხორციელი ნაცვალია ქვეყნად, მას ქვეყნის ყველა ხორციელი, მათ შორის, ეკონომიკური საქმე მოეკითხება და თამარი ამ საქმესაც – ვაჭრობას, – ღვთიურ, წმინდა საქმედ აცხადებს!

უაღრესად მნიშვნელოვანია წყაროში იმის აღნიშვნა, რომ თამარმა მღვდელთათვის შესამოსელის მოქსოვა იწყო ვაჭართა მიერ ალექსანდრიიდან ჩამოტანილი მატყლისაგან, ესე იგი, არა ნაძარცვი, არამედ სამართლიანი – ღვთიური, წმინდა გზით – ვაჭრობით შეძენილი მასალისაგანო. თამარის საქართველოში მატყლიცა და სხვა ავლა-დიდებაც ხომ თავსაყრელი იყო და აქ მაინც და მაინც უცხოური იმპორტული, შორეული ეგვიპტიდან შემოტანილი მატყლის მოხსენიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამით ისტორიკოსმა საკუთრივ საგარეო ვაჭრობის დიდად დაწინაურება აღნიშნა და, ამასთან, ზედმიწევნით ზუსტად გადმოგვცა თვით ამ ვაჭრობის არსი, – საქართველოს შემოაქვს ნედლეული და თვითონ ღვთისსწორი თამარის ხელით (ვიწრო და ზოგადი გაგებით), ე. ი. როგორც უშუალოდ თამარის შრომით, ასევე, რაც მთავარი და არსებითია, თამარის ხელისუფლების საშუალებით, – მისი გადაწყვეტილებით ამზადებს მზა პროდუქციას!

რაოდენ შორსმჭვრეტელურია ჩვენს სულკურთხეულ წინაპართა ნააზრევი, ამას ხომ დიდი მტკიცება არ სჭირდება, – დღევანდელ მსოფლიოში მხოლოდ "ქართლის ცხოვრებაში" გადმოცემული ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის პრინციპის განმახორციელებელი სახელმწიფოები არიან ყოველმხრივ წარმატებულნი!

თამარის ისტორიკოსი დაბეჯითებით გვისაბუთებს, რომ მწარმოებლური შრომა და ვაჭრობა, საღვთო, ღმერთისაგან დალოცვილი, წმინდა საქმეა, რადგან მას თვით ღვთისსწორმა თამარმა მიჰყო ხელიო: "ხელის საქმარი განყიდის და ეგონ ფასი გლახაკთა ახელსაქმარის და მისცის არა სამეფოდ შემოსავალთაგან".

განსაცვიფრებელია!!!

მსოფლიოს უმდიდრესი სახელმწიფოს ყოვლის შემძლე მეფეთ-მეფე თითს არ აკარებს სახელმწიფოს შემოსავალს და საკუთარი ხელით ნაშრომის საფასურით აპურებს გლახაკებს!

და ეს ხდება იმ დროს, როდესაც საქართველოს ირგვლივ ველური ურდოები ანადგურებენ ყოველივეს, ხოლო დასავლეთ ევროპელი რაინდები ძარცვავენ და აოხრებენ წმინდა კონსტანტინოპოლს.

ძნელი წარმოსადგენიც კია, ამაზე მეტად როგორ უნდა შეექო შრომა შუა საუკუნეების ისტორიკოსს და უფრო შთამბეჭდავად როგორ უნდა ჩაეგონებინა თანამედროვეებისა და შთამომავლებისათვის, – ეშრომათ და ამით საღვთო საქმე ეკეთებინათ.

მაგრამ თამარის ისტორიკოსი დღევანდელ მსოფლიოსთვისაც კი მიუწვდომელ სიმაღლეზე ადის და შრომის აპოლოგია გენიალურ მწვერვალამდე აჰყავს, – იგი აყალბებს აზრს, რომლის თანახმად, ყოველმა ადამიანმა თავისი ნაშრომით უნდა ირჩინოს თავი!

თამარის საქართველოში სახელმწიფო იდეოლოგიის რანგში აყვანილი ეს ღვთიური აზრი დღესაც მიუღწეველია ცოდვილი კაცობრიობისათვის.

"ქართლის ცხოვრების" ხელნაწერთა დაზიანების გამო, ჩვენამდე მოღწეულია რამდენადმე ბუნდოვანი ფრაზა: თამარი "თვისითა ხელითა ამასაცა შურებოდა, რომელ მის დღისა საჭამადი მის ფას რაოდენ შეჭამოს".

დიდი ივანე ჯავახიშვილი იგივე წინადადებას განსხვავებული რედაქციით იმოწმებს: თამარი "ამასაცა შურებოდა, რომელ მის დღისა საჭამადი მისი დააფასოს და რაოდენ დღივ შეჭამოს", რასაც დიდი მეცნიერი ასე განმარტავს: "როგორც ეტყობა, მას უნდოდა, რომ თავის თავზეცა და ისეთ წმინდა საქმეზეც, როგორიც არის ქველმოქმედება საკუთარი შრომით შეძენილი ფული დაეხარჯა".

შეუძლებელია, არ დაეთანხმო დიდი ივანე ჯავახიშვილის დასკვნას!

ამრიგად, თამარის სიზმარით "ქართლის ცხოვრებაში" შრომა, ანუ წარმოება და ვაჭრობა სახელმწიფო იდეოლოგიის რანგშია აყვანილი, იგი საღვთო, წმინდა საქმედ არის გამოცხადებული! ამასთან ყოველივე ეს გადმოცემულია უაღრესად შთამბეჭდავად, ამაღლებულად, ვინაიდან შრომის განსახიერებას თვითონ ღვთისსწორი თამარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გროტესკის წიგნი



შერვუდ ანდერსონი

მოთხრობა

თეთრულვაშიან მოხუცს დაწოლისას უსიამო გრძნობა ეუფლებოდა. მისი სახლის ფანჯრები მაღლა იყო, მას კი დილით, გაღვიძებისას, უნდოდა ხეებისათვის ეცქირა.

ერთხელ დურგალი მოვიდა, რათა საწოლი ფანჯრამდე შეემაღლებინა. დიდი ფორიაქი მოჰყვა ამას. დურგალი, რომელიც ერთ დროს სამოქალაქო ომში იბრძოდა, მწერლის ოთახში შემოვიდა და დაჯდა. იმაზე ფიქრობდა, საწოლის მაღლა ასაწევად როგორ უნდა დაეგო ფიცარნაგი, თანაც მწერლის აქა-იქ მიმოფანტულ სიგარებს ქაჩავდა.

კარგახანს ბჭობდნენ, როგორ აემაღლებინათ საწოლი. მერე ყოფილმა ჯარისკაცმა ომზე ჩამოაგდო სიტყვა, უფრო კი მწერალმა შეაგულიანა. ადრე დურგალი ანდერსონვილის ციხის ტუსაღი ყოფილა და ძმა დაჰკარგვია, შიმშილისგან სული ამოხდომია.

როცა დურგალი ამ ამბავს ჰყვებოდა, მწერალი ტიროდა. ტირილის დროს ტუჩებს პრუწავდა, ჭაღარა ულვაში ხან მაღლა აუთამაშდებოდა, ხან დაბლა ჩამოეწეოდა. პირში სიგარაგაჩრილი მტირალი მოხუცი სასაცილო სანახავი იყო. მწერლის მიერ მოფიქრებული გეგმა საწოლის ასამაღლებლად, მიავიწყდათ, მოგვიანებით დურგალმა თავისებურად მოახაზინა. სამოც წელს გადაცილებულ მწერალს ღამით, ამაღლებულ საწოლში დაწოლისას სკამის მიშველება სჭირდებოდა.

ლოგინში გვერდზე გადაბრუნდებოდა-ხოლმე და წყნარად იწვა. წლების მანძილზე გულს უჩიოდა. ბევრს ეწეოდა და გული უფრიალებდა. ეგონა, უეცრად მოკვდებოდა და დაწოლისას მუდამ ამაზე ფიქრობდა.

სიკვდილი არ აშინებდა. ეს მოვლენა საკმაოდ უჩვეულო იყო და არც ადვილად შეიძლებოდა მისი ახსნა. სიკვდილზე ფიქრი საწოლში უფრო გაუცხოველდებოდა-ხოლმე, ვიდრე სხვაგან. მთლად გაყუჩებული იწვა. მის დაბერებულ სხეულს უკვე ძალა გამოლეოდა, მაგრამ იყო რაღაც ახალგაზრდული მასში. ორსულ ქალს წააგავდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სხეულში ბავშვის ნაცვლად ჭაბუკი ცხოვრობდა. არა, ჭაბუკი კი არა, ახალგაზრდა ქალი, მამაკაცის სამოსს რომ ატარებდა რაინდივით. ზედმეტია აღვწეროთ სული, რომელიც მოხუცი მწერლის სხეულში

წარმოადგენს!

შრომის იდეოლოგიის ასეთ გასაოცარ სიმაღლეზე აყვანა მხოლოდ იმ სახელმწიფოში იყო შესაძლებელი, რომელსაც უდიდესი კულტურული ტრადიციები გააჩნდა, ხოლო ფეოდალიზმი, ვითარცა სახელმწიფოებრივი განვითარების ერთ-ერთი ეტაპი, თავისი ბუნებით, უკვე გუშინდელი დღე იყო და, ამიტომ, ქვეყნის შემდგომი წინსვლა-განვითარება ახალი – კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრებას მოითხოვდა.

და რომ თამარის ეპოქის საქართველო მტკიცედ ადგა ამ გზას, ამის უტყუარი დასტურია თამარის სიზმარი, ანუ თამარის ეპოქის შრომის გენიალური აპოლოგია!

ოღონდ ეგ არის, ღვთისსწორი თამარის სიზმარი, დიდად საუბედუროდ, მხოლოდ ლამაზ მოგონებად შემორჩა ბედკრულ საქართველოს დღემდე...

"მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირსა" – სულსა და გულში გვიჭედავს რწმენას, თამარის ღვთაებრიობით აღფრთოვანებული, სწორუპოვარი გენიოსი!

და რადგან მე სხვა ღონე არა მაქვს, გისურვებ, ჩემო "არა ელიტურო", ანუ ილიას მსგავსად – ჩვენებურად, მდაბიურად რომ ვთქვა, – პატიოსანო ქართველო მკითხველო, ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს!..

■

ცოცხლობდა, როცა იგი ამაღლებულ საწოლში იწვა და საკუთარ გულის ფეთქვას უსმენდა. მთავარია მის ფიქრებს ჩავწვდეთ.

მოხუც მწერალს ისე, როგორც ყველას ამქვეყნად, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე უამრავი შეხედულება გაუჩნდა. ერთ დროს იგი ლამაზი ყოფილა და ბევრ ქალს ჰყვარებია, შემდეგ კი ხალხთან საოცრად ინტიმური დამოკიდებულება ჰქონია. აი, ამაზე ფიქრობდა მწერალი და ეს ფიქრი სიამოვნებას ჰგვრიდა. რას ვერჩით?

მწერალი ლოგინში ოცნებობდა, ძილ-ღვიძილში მის წინ ადამიანები აღიმართებოდნენ-ხოლმე. ის გრძნობდა, ახალგაზრდული სული ნაირნაირ ფიგურებს რომ გადაუშლიდა თვალწინ. და ყველა მის წინ ჩავლილი ადამიანის ფიგურა, გროტესკი იყო. ყოველი მათგანი, რომელთაც მწერალი ოდესღაც იცნობდა, გროტესკებად ქცეულიყო. მაგრამ ყველა საზარელი კი არა, ზოგი სასაცილო იყო, ზოგიც ლამაზი. ერთი უგვანი ქალი კი თავისი გროტესკულობით ტკივილს აყენებდა მოხუცს. როდესაც მან ჩაიარა, მწერალმა ძაღლივით დაიწკმუტუნა. ამ დროს მის ოთახში რომ შესულიყავით, იფიქრებდით, მოხუცს უსიამოვნო სიზმრები ან დისპეფსია აწუხებსო.

ერთ საათს გრძელდებოდა-ხოლმე გროტესკების პროცესია. შემდეგ კი მოხუცი, როგორც წესი, საწოლიდან გადმოფოფხდებოდა და წერას შეუდგებოდა. ერთმა გროტესკმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და აღწერა მოისურვა.

მთელ საათს მუშაობდა მწერალი თავის საწერ მაგიდასთან. ბოლოს დაწერა წიგნი, რომელსაც "გროტესკის წიგნი" უწოდა და არასოდეს გამოქვეყნებულა, მაგრამ როცა მას გავეცანი, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. წიგნს ერთი ძირითადი იდეა ჰქონდა და ეს იდეა ძალიან უცნაური იყო. ამიტომაც ჩამრჩა მეხსიერებაში.

სწორედ ამ წიგნით შევიცანი ადამიანები და საგნები, რომელთა შეცნობა ადრე არასოდეს შემეძლო. იდეა რთული იყო, მაგრამ მარტივად ასე გადმოიცემოდა:

დასაბამიდან, როცა სამყარო ახლად შეიქმნა, ბევრი იდეა ცოცხლობდა, მაგრამ არ არსებოდა ის, რასაც სიმართლე ჰქვია. ადამიანმა შექმნა სიმართლე და ყოველი სიმართლე ბუნდოვანი აზრების ან იდეებისაგან შედგებოდა. სამყაროში ირგვლივ ყველაფერი ლამაზი სიმართლე იყო.

მოხუცს თავის წიგნში ასობით სიმართლე ეწერა. ყველა მათგანს ვერ აღვწერ. იყო სიმართლე სიწმინდისა და სიმართლე ვნებისა, სიმართლე სიმდიდრისა და სიღატაკისა, მომჭირნეობისა და მფლანგველობისა, უზრუნველობისა და ბუნებრიობისა. ასობით და ათასობით სიმართლე არსებობდა და ყველა ლამაზი იყო.

შემდეგ გამოჩნდნენ ადამიანები. თითოეული ადამიანი იტაცებდა ერთ-ერთ სიმართლეს; ვინც ყველაზე ძლიერი იყო, უამრავს იტაცებდა.

სწორედ ამ სიმართლეებმა აქცია ადამიანები გროტესკებად. მოხუცს ამის ასახსნელად რთული თეორია ჰქონდა შემუშავებული. მისი აზრით, ადამიანი, რომელიც რომელიმე სიმართლეს ემხრობოდა და იჩემებდა, ამავე სიმართლით ცხოვრობდა და გროტესკი ხდებოდა. მის მიერ აღიარებული სიმართლე კი სიყალბედ იქცეოდა-ხოლმე.

წარმოიდგინეთ მოხუცი კაცი, რომელმაც მთელი ცხოვრება წერაში გაატარა, როგორ დაწერდა ასობით გვერდს გროტესკებზე. ეს თემა მის გონებაში იმდენად გაიზრდებოდა, რომ მწერალი გროტესკად გადაქცევის საფრთხეში აღმოჩნდებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა, ვფიქრობ, იმიტომ რომ მას წიგნი არასოდეს გამოუქვეყნებია. იმ ახალგაზრდა სულმა იხსნა მოხუცი.

დურგალი კი, რომელმაც საწოლი აამაღლა, რატომ გავიხსენეთ? იმიტომ, რომ მას ბევრი სხვა უბრალო ადამიანივით ჰქონდა ის სინათლე და მიმზიდველობა, რაც მწერლის წიგნში აღწერილ ყველა გროტესკთან აახლოებდა.

ინგლისურიდან თარგმნა
თამარ მხარგრძელმა

საქართველოს

გამოჩენილი რუსი მწერალი ალექსანდრე სოლჟენიცინი თავისი პოპულარული თხზულების ("არქიპელაგი გულაგი") ბოლოთქმაში გვაუწყებს: "ვარლამ შალამოვს შევთავაზე, რომ ერთად დაგვეწერა მთელი ეს წიგნი — უარი მითხრა".

მომავალი ლაურეატი ნობელის პრემიისა თავისი უმთავრესი ნაწარმოების შექმნას, თურმე, შალამოვთან ერთად აპირებდა! უკვე მთელს მსოფლიოში სახელმოხვეჭილ მწერალს შალამოვის თანაავტორობა ეწადა — იმ შალამოვისა, რომელიც ისე მოკვდა უპატრონო მოხუცთა თავშესაფარში (1982 წელს), რომ ვერ ეღირსა თავისი პროზის გამოქვეყნებას სამშობლოში. მისი დაუბეჭდავი მოთხრობებით მოხიბლული სოლჟენიცინი, ჩანს, უსაზღვროდ ენდობოდა, როგორც ნიჭიერ შემოქმედსა და სტაჟიან ტუსაღს. შალამოვმა ხომ ჩვიდმეტი წელი გაატარა სუსხიანი კოლიმის ნახევარკუნძულზე განლაგებულ კონცლაგერებში?

დღეს ვარლამ შალამოვს რუსული ლიტერატურის კლასიკოსად მიიჩნევენ და სიცოცხლეშივე განბივრებული სოლჟენიცინის გვერდით აყენებენ.

მოთხრობაში "შერი-ბრენდი" აღწერილია დიდებული რუსი პოეტის ოსიპ მანდელშტამის ცხოვრების უკანასკნელი დღეები. "შერი-ბრენდი" ფრანგულად ალუბლის ლიქიორს ჰქვია, მაგრამ მანდელშტამის ერთ უსათაურო ლექსში ნიშნავს — სისულელეს, ჩმახს. პოეტი წერდა: "ყველაფერი ბოდვაა და შერი-ბრენდია, ანგელოზო ჩემო"...

# შერი-ბრენდი

პოეტი კვდებოდა. შიმშილისაგან დასივებული დიდი მტევნები ხელისა — თეთრი, სისხლდაცლილი თითებითა და ჭუჭყიანი, რქასავით წაზრდილი ფრჩხილებით — გულზე დაეკრიფა და სიცივეს აღარ უმალავდა. წინათ ხელებს ჩაიყოფდა ხოლმე უბეში, შიშველ სხეულზე, მაგრამ ახლა იქაც ძალზე ცოტა იყო სითბო. ხელთათმანები კარგა ხნის წინ მოპარეს. კაცის გასაქურდად მარტოოდენ უტიფრობა კმაროდა — დღისით, მზისით იპარავდნენ. მკრთალი, ელექტრული მზე, ბუზებისაგან დასვრილი და მრგვალი გისოსით შებორკილი, მაღლა დაემაგრებინათ ჭერქვეშ. შუქი ეცემოდა პოეტის ფეხებს — ის თითქოსდა ყუთში იწვა, უწყვეტი ორსართულიანი ნარების ქვედა მწკრივის ბნელ სიღრმეში. დროდადრო ხელის თითები ამოძრავდებოდნენ, კასტანიეტასავით ატკაცუნდებოდნენ, ხან ღილს წაეფათურებოდნენ, ხანაც ღილკილოს ანდა ბუშლატის ნახვრეტს, რაღაც მტვერს ჩამოფერთხავდნენ და კვლავ გაშეშდებოდნენ. პოეტი იმდენი ხანი კვდებოდა, რომ უკვე ვეღარ ხვდებოდა, რომ კვდებოდა. ზოგჯერაც მტკივნეულად, თითქოსდა უჯრედებს ეხებაო, წვალებით გამოივლიდა ტვინს რომელიმე უბრალო და ძლიერი ფიქრი — აგერ მოჰპარეს პური, რომელიც თავქვეშ ედო. ეს ფიქრი იმდენად უთუთქავდა გულს და აძრწუნებდა, მზად იყო დაეწყო დავა, ლანძღვა-გინება, ჩხუბი, ძებნა, მტკიცება. მაგრამ საამისოდ ძალ-ღონე აღარ გააჩნდა და ფიქრი პურზე ილეოდა... და მაშინვე სხვა ფიქრი მოაწყდებოდა — აი, ყველანი ზღვის გაღმა უნდა წაიყვანონ, გემი კი რატომღაც იგვიანებს და რა კარგია, რომ აქა ვრჩებით. ასევე გულარხეინად და ზოზინით ფიქრობდა დიდ ხალზე, ბარაკის მორიგის პირისახეს რომ ამშვენებდა. დღე-ღამის განმავლობაში, ფიქრობდა იმ მოვლენებზე, რომლებიც ავსებდნენ მის აქაურ ცხოვრებას. ხილვები, თვალწინ რომ წამოემართებოდნენ, არა ყოფილან ბავშვობის, სიჭაბუკისა და წარმატების დროინდელი ხილვები. მთელი სიცოცხლე სადღაც მიეჩქარებოდა. რაოდენ მშვენიერია, რომ აღარსად მიეჩქარება, რომ შეუძლია იფიქროს ნელ-ნელა. და იგი აუჩქარებლად ფიქრობდა სიკვდილის პირა მოძრაობათა უდიდეს ერთფეროვნებაზე. ფიქრობდა იმას, რაც ექიმებმა, პოეტებსა და მხატვრებზე ადრე შეიცნეს და აღწერეს. ჰიპოკრატეს სახე — სიკვდილისპირა ნიღაბი ადამიანისა — ცნობილია სამედიცინო ფაკულტეტის ნებისმიერი სტუდენტისათვის. იმ მოძრაობათა იდუმალი ერთფეროვნება, სიკვდილის მოახლოებას რომ მეტყველებს, საბაბად იქცა ფროიდისათვის, ყველაზე თამამი ჰიპოთეზები რომ გამოეთქვა. ერთფეროვნება, განმეორება — აი, მეცნიერების სავალდებულო ნიადაგი. ხოლო იმას, რაც განუმეორებელია სიკვდილში, ეძიებდნენ არა ექიმები, არამედ პოეტები. სასიამოვნო იყო შეგნება იმისა, რომ მას ჯერ კიდევ ძალუძდა ფიქრი. შიმშილით გამოწვეული გულისრევა, დიდი ხანია, ჩვეულებრივი გამხდარიყო და ყველაფერს თანასწორი უფლება ჰქონდა — ჰიპოკრატეს, დიდხალიან მორიგეს და მომაკვდავი პოეტის ჭუჭყიან ფრჩხილს.

სიცოცხლე შემოდიოდა მასში და გამოდიოდა მისგან, და იგი კვდებოდა. მაგრამ სიცოცხლე ისევ გამოკრთებოდა, თვალები ეხილებოდა, ფიქრებიც ჩნდებოდა. არა ჩნდებოდა მხოლოდ სურვილები. იგი უკვე დიდი ხანია ცხოვრობდა იმ სამყაროში, სადაც ადამიანებისთვის სიცოცხლის დაბრუნება უწევდათ — ხელოვნური სუნთქვით, გლუკოზით, კამფარით, კოფეინით. და მკვდარი კვლავ ცოცხლდებოდა. ან რატომაც არ უნდა გაცოცხლებულიყო?! მას სწამდა უკვდავება, ნამდვილი ადამიანური უკვდავება. ხშირად უფიქრია, რომ სულაც არ არსებობს არავითარი ბიოლოგიური მიზეზი, რის გამოც ადამიანი სამარადისოდ ვერ იცოცხლებს... სიბერე — ეს მხოლოდ მოსარჩენი სნეულებაა და დღემდე გამოუცნობი ტრაგიკული გაუგებრობა რომ არა, ისიც სამარადისოდ იცოცხლებდა. ანდა მანამდე იცოცხლებდა, ვიდრე არ დაიღლებოდა. ის კი სულაც არ დაღლილა ცხოვრებით. ახლაც კი არ დაღლილა — ამ გადასაგზავნ ბარაკში, ანუ "ტრანზიტკაში", როგორც მოფერებით წარმოთქვამდნენ აქაური მცხოვრებნი. "ტრანზიტკა" იყო საშინელებათა კარიბჭე, თუმცა თავად არ ყოფილა საშინელება.

პირიქით, აქ თავისუფლების სული სუფევდა და ამას ყველა გრძნობდა. წინ ელოდათ ლაგერი, უკან დაურჩათ ციხე. აქ კი იყო "მშვიდობა გზაში", და პოეტს ესმოდა ეს.

კიდევ ერთი გზა არსებობდა უკვდავებისა — ტიუტჩევისეული:

"ნეტარ არს, ვინაც შეესწრო ჩვენი სამყაროს ჟამთა ავბედით სრბოლას".

მაგრამ თუკი მას, როგორც ჩანს, არ უწერია უკვდავება ადამიანური იერით, ვით რაიმე ფიზიკურ ერთეულს, შემოქმედებითი უკვდავება ხომ მაინც დაიმსახურა. მას უწოდებდნენ მეოცე საუკუნის უპირველეს რუს პოეტს, და ხშირად უფიქრია, რომ ეს მართლაც ასე იყო. სწამდა უკვდავება თავისი



ვარლამ შალამოვი

ლექსებისა. მოწაფეები არა ჰყოლია, მაგრამ განა პოეტებს ძალუძთ მათი ატანა? პროზასაც წერდა, ოღონდ — ცუდ პროზას, წერდა აგრეთვე სტატიებს. მაგრამ მარტოოდენ ლექსებში მიაგნო რაღაც ახალს პოეზიისათვის, ახალსა და მნიშვნელოვანს, როგორც ყოველთვის ეჩვენებოდა. მთელი მისი წარსული ცხოვრება იყო ლიტერატურა, წიგნი, ზღაპარი, სიზმარი, და მხოლოდ დღევანდელი დღე ნიშნავდა ნამდვილ ცხოვრებას.

ყოველივე ამას ფიქრობდა არა საკამათოდ, არამედ მალულად, სადღაც სულის სიღრმეში. ამ ფიქრებს აკლდა ვნება. გულგრილობას უკვე დიდი ხანია შეეპყრო იგი. ეს ყველაფერი რაოდენ წვრილმან ფუსფუსს ჰგავდა ცხოვრების ავ სიმძიმესთან შედარებისას. საკუთარი თავისა უკვირდა — როგორ შეიძლება ასე იფიქრო ლექსებზე, როდესაც უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია; ეს კი ძალზე კარგად იცოდა, ყველაზე უკეთ იცოდა. ვისა სჭირდება აქ იგი და ვისი ტოლია? ნეტავი რატომ უნდა მიმხვდარიყო ყოველივე ამას და იგი ელოდა... და მიხვდა.

იმ წუთებში, როდესაც სიცოცხლე უბრუნდებოდა მის სხეულს და ნახევრადგახელილი, ამღვრეული თვალები ხედვას ახერხებდნენ, ქუთუთოები ახამხამდებოდნენ და თითები შეირხეოდნენ, აზრებიც ბრუნდებოდნენ და სულაც არ ეგონა, რომ ისინი უკანასკნელად ევლინებოდნენ ცხოვრებაში.

სიცოცხლე თვითონ შემოდიოდა მასში თავნება დიასახლისივით: იგი არ უხმობდა მას და სიცოცხლე მაინც შემოდიოდა მის სხეულში, მის ტვინში. შემოდიოდა ლექსივით, შემოდიოდა შთაგონებასავით. და ამ სიტყვის მნიშვნელობა პირველად გაუმჟღავნდა მთელი თავისი სისრულით. ლექსი იყო ის ცხოველმყოფელი ძალა, რითაც ცოცხლობდა. სწორედ ასეა. ის ლექსების გულისათვის როდი ცოცხლობდა, ლექსებით ცოცხლობდა.

ახლა ისე თვალსაჩინო, ისე საგრძნობელი და ნათელი იყო, რომ სწორედ შთაგონება ნიშნავდა სიცოცხლეს; სიკვდილის პირას მას წილად ხვდა გაეგო, რომ სიცოცხლე წარმოადგენდა შთაგონებას, სწორედ შთაგონებას.

და უხაროდა, რომ წილად ხვდა, გაეგო ეს უკანასკნელი სიმართლე.

ყველაფერს, მთელ სამყაროს უდარებდა ლექსებს: სამუშაოს, ცხენების თქარათქურს, სახლს, ფრინველს, კლდეს, სიყვარულს - მთელი ცხოვრება იოლად შედიოდა ლექსებში და იქ მოხერხებულად თავსდებოდა. და ასეც უნდა ყოფილიყო, რამეთუ ლექსი იყო სიტყვა.

სტროფები ახლაც იოლად დგებოდნენ ერთიმეორის მიყოლებით და თუმცა დიდი ხანია აღარ იწერდა და არც შეეძლო ჩაეწერა თავისი ლექსები, სიტყვები მაინც. იოლად დგებოდნენ რაღაცნაირად ნაკარნახევი და ყოველ ჯერზე უჩვეულო რიტმით. ხოლო რითმა იყო მაძიებელი, სიტყვათა და ცნებათა მაგნიტური ძიების ინსტრუმენტი. ყოველი სიტყვა ჰგავდა სამყაროს ნაწილაკს, იგი ეხმიანებოდა რითმას და მთელი სამყარო ჩაიქროლებდა რომელიღაც ელექტრონული მანქანის სიჩქარით. ყველაფერი ყვიროდა: ხელი მომკიდე, ამიყვანე. არა, მე ამიყვანე. არაფრის ძებნა არ უწევდა. მხოლოდ გადარჩევა უწევდა. თითქოსდა ორი კაცი არსებობდა — ერთი, რომელიც თხზავს, რომელმაც დააზრიალა თავისი ჩიკორი ბოლომდე და მეორე, რომელიც ამოარჩევს შეთხზულს და დროდადრო აჩერებს აზრიალებულ ჩიკორს. და როდესაც დაინახა, რომ ერთიცა და მეორეც თვითონაა, პოეტი მიხვდა, ნამდვილ ლექსებს ვთხზავო. მერე რა მოხდა, რომ არ ჩაუწერია?! ლექსის ჩაწერა, დაბეჭდვა — ყოველივე ეს ამაოებაა ამაოებათა. ყველაფერი, რაც იბადება არაუანგაროდ - ყველაზე უკეთესი როდია. საუკეთესო ის არის, რაც არ ჩაუწერიათ, რაც შეითხზა და გაქრა, უკვალოდ გადნა. მხოლოდ შემოქმედებითი სიხარული, რომელსაც იგი შეიგრძნობს და რომელიც არაფერში აგერევა, ამტკიცებს, რომ შეიქმნა ლექსი, რომ შეიქმნა მშვენიერება. რაღაც ხომ არ ეშლება? უცდომელია თუ არა მისი შემოქმედებითი სიხარული?

გაახსენდა, რაოდენ უვარგისი, პოეტურად რაოდენ უსუსური იყო ბლოკის უკანასკნელი ლექსები და ბლოკი, ეტყობა, ამას ვერა ხვდებოდა...

პოეტმა თავს ძალა დაატანა, რომ შეჩერებულიყო. ამგვარი რამ აქ უფრო ეიოლებოდა ვიდრე სადმე სხვაგან, ლენინგრადსა თუ მოსკოვში.

უეცრად იაზრა, რომ უკვე დიდი ხანია აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. სიცოცხლე ისევ სტოვებდა მის სხეულს.

რამდენიმე საათი იწვა უძრავად და უცებ, შორიახლოს, თვალი მოჰკრა რაღაც სასროლ სამიზნეს თუ გეოლოგიურ რუკას? რუკა მუნჯი იყო და იგი ამაოდ ლამობდა მისი გამოსახულების შეცნობას. საკმაო დრომ გაიარა, ვიდრე აზრზე მოვიდოდა, რომ საკუთარ თითებს უყურებდა. თითის წვერებზე ჯერ კიდევ შემორჩენოდა ბოლომდე მოწეული, მოწუწნილი მახორკის პაპიროსის ყავისფერი კვალი — თითის ბალიშებზე, მთიანი რელიეფის ნახაზის მსგავსად, თვალნათლივ გამოირჩეოდა დაქტილოსკოპიური ნახატი, რომელიც ერთნაირი იყო ათივე თითზე — კონცენტრირებული რგოლები, ხის ჭრილს რომ წააგავდა. გაახსენდა, რომ ერთხელ ბავშვობაში ბულვარზე შეაჩერა ჩინელმა სამრეცხაოდან, რომელიც მოთავსებული იყო იმ სახლის სარდაფში, სადაც იგი გაიზარდა. ჩინელმა შემთხვევით ხელი მოჰკიდა ერთ ხელზე, მერე — მეორეზეც, ხელისგულები ამოუბრუნა და აღგზნებულმა რაღაც დაიყვირა თავის ენაზე. როგორც გაირკვა, მან ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილად გამოაცხადა ეს ბიჭი, ნაღდი ნიშანი აქტყვიაო. პოეტს ბევრჯერ ახსენდებოდა დალი ბედნიერებისა, განსაკუთრებით ხშირად ახსენდებოდა მაშინ, როდესაც დაბეჭდა თავისი პირველი წიგნი. ახლა გაავებისა და ირონიის გარეშე აგონდებოდა ჩინელი — ყველაფერი უკვე სულერთი იყო მისთვის.

ყველაზე მთავარი ისაა, რომ იგი ჯერ კიდევ არ მომკვდარა. მართლა, ნეტავი რას ნიშნავს: როგორც პოეტი, მოკვდაო? რაღაც ბალღური მიამიტობა გამოსჭვივის ამ სიტყვებში; ანდა რაღაც ნაძალადევი, თეატრალური, როგორც ესენინს, როგორც მაიაკოვსკის.

როგორც მსახიობი, მოკვდაო — ეს კიდევ გასაგებია. მაგრამ როგორც პოეტი, მოკვდაო?!

დიახ, ის ხვდებოდა რაღაც-რუღაცეებს მოსალოდნელი მომავლიდან. გადასაგზავნ პუნქტში მოასწრო, ბევრი რამის გაგება და გამოცნობა და მას უხაროდა, წყნარად უხაროდა საკუთარი უმწეობა და იმედი ჰქონდა, მოვკვდებიო. გაახსენდა ოდინდელი კამათი ციხეში ყოფნისას: რა უფრო უარესი, რა უფრო საზარელი არისო — ლაგერი თუ ციხე? არავინ არაფერი იცოდა ხეირიანად, გონებისმიერი არგუმენტებით მსჯელობდნენ. და რაოდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯანი, ჯანინ' აინ

მამუკა ცეცხლაძე

(გაგრძელება)

დასაწყისი იხ. "დროშა" №№7-9, 10-12 1996 წ. და 1-2 1997 წ.

ნიკო მარი აკავშირებდა "ღორსა" და "ღორონთს" ერთიმეორესთან და, ცხადია, არ იქნებოდა ეს მთლად იოლად დასაჯერებელი. არადა, როგორც ჩანს, მართალია ესეც – ორივე ამ სიტყვის ამოსავალში "ორი" გვაქვს ქართულში, თუ ქართველურში. უცნაურია, მაგრამ იგივე ეს ქართული "ორი" იჩენს თავს რუსულშიც სწორედ ღორთან დაკავშირებულ სახელში.

ვლადიმირ დალის რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით "რუსი", როგორც თმის ფერი, ქერა ("სვეტლი") კი არ არის, არამედ ქერა ("სვეტლი") და მუქი ფერის თმის ნაზავს გულისხმობს თურმე – ერთდროულად რომ ამოსდის ადამიანს თავზე ქერაცა ("სვეტლი") და მუქი ფერის თმაც. თავდაპირველად კი ეს "რუსი" სწორედ ღორის (რუსულად –"კაბან") ორფეროვან, შავ-თეთრ ჯაგარს გულისხმობდაო – განმარტავს ვლადიმირ დალი. ორს გულისხმობდა ესე იგი, ორი ფერის თმას ამ შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში კი – "რუსალკას", მაგალითად, ქალ-თევზას ეძახიან რუსები. ორზეა აქაც ლაპარაკი, ორზე, რომელიც ერთდება, ქალზე და თევზზე, ქალისა და თევზის ნაჯვარზე.

არსებითად ამასვე უნდა გულისხმობდეს ამოსავალში ეს ჩვენი ქართული "ქერაც", ანუ იგივე "გე-რე" და "გე-ორი-გე" (ეს "გე" სულ ტყუილად გვგონია ჩვენ დღემდე ბერძნული, ან მარტო ბერძნული – "გიმ" არის სვანურად მიწა, ამ "გე-თი" ნაწარმოები სიტყვების ცვენაა პირდაპირ მეგრულშიც და სუყველა უეჭველად მიწას უკავშირდება. "გე-რე", ანუ "გე-ორი" და "გე-ორი-გე" – "მიწა ორი" და "მიწა-ორი-მიწა", ასე უნდა გაიშიფროს ქართულად. ორზეა აქაც ლაპარაკი, ორი მიწის ერთობაზე ამ შემთხვევაში). "გ" და "ჯ" ბგერების მონაცვლეობა ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულშიც, ქართველურშიც და სხვა ენებშიც, თუნდაც იგივე ჩვენი "გიორგი" და "გეორგიაა" ამისი ყოვლად თვალსაჩინო მაგალითი – "ჯეგე", "ჯგრაგი", "ჯორჯია", "გურჯი" და სხვ. ჩვენს მთაში "გიორგი" და ""ჯვარი" – ეს ორი სიტყვა – დღემდე ყოვლად კანონიერ სინონიმებად აღიქმება – რა ხახმატის ჯვარი გითქვამს, მაგალითად, და რა ხახმატის გიორგი, ერთი და იგივეა ეს – გიორგის სახელობისა კი არ არის ეს ჯვარი, არამედ ჯვარი იგივეა, რაც გიორგი. "გ" და "ჯ" ბგერების მონაცვლეობის შედეგად არის, როგორც ჩანს, მიღებული ეს ორი სახელი – "გე-ორი" გვაძლევს "გი-ორ-გისა" და "გე-რეს", "ჯე-ორი" კი "ჯორსა" და "ჯვარს". "ჯორიც" – ცხოველი – მოგეხსენებათ, რომ ცხენისა და ვირის ნაჯვარია და ამ ვარაუდს უეჭველად ამანაც უნდა გაუმაგროს ზურგი.

ამგვარად "ქერა", როგორც თმის ფერი, ზუსტი შესატყვისი გამოდის რუსული "რუსისა" და ამავე დროს ქართულში გვაქვს აგრეთვე "ქერაობა", რაც, შეიძლება ყველას არ მოგეხსენებათ, მაგრამ სწორედ ორობასა და ორის ერთობას ნიშნავს, ანუ სიყვარულს, შეჯვარებას ორი ადამიანისას, მამაკაცისას და დედაკაცისას. ამასვე მეტყველებს თავად ამ სიტყვის – "სიყვარული" – ეტიმოლოგიაც. აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში, მაგალითად, გვაქვს – "მიყორს", ამისი საწყისი ფორმა, ცხადია, "ყორობა" უნდა იყოს, ანუ იგივე "ორობა". ზუსტად ასეა ეს მეგრულშიც – "ჸროფა" (სიყვარული). იგივე ფუძე უნდა იკითხებოდეს, ჩემი აზრით, სომხურშიც – "სირელ" (სიყვარული).

რა გამოდის? ღმერთი თუ "ორ-ერთია", სიყვარული კი "ორობა", მაშინ ქართულ ენაში ყოფილა დამარხული ყოვლად უტყუარი საბუთი იმისა, რომ "ღმერთი არს სიყვარული".

ამგვარივე საბუთი ყოფილა დამარხული სომხურშიც: "არარიჩ" და "სირელ".

ამგვარივე საბუთი ყოფილა დამარხული აგრეთვე რუსულში, რადგან "რუსი" – თავად ეს სახელი – ისეთივე "ობა-დვად" გამოიყურება, როგორი "ორ-ერთიც" (ანუ "ჰარირა") გახლავთ "გი-ორ-გი". შემთხვევითი არ არის, ალბათ, რომ უკვე ქრისტიანულ ეპოქაში საქართველოს მერე ალბათ ყველაზე უფრო პოპულარული სწორედ რუსეთშია წმინდა გიორგი. მანამდე კი, რაოდენ გაუგებარიც არ უნდა იყოს ჩვენთვის ეს დღეს, ეზიკიელი სწორედ "როს-ით" იწყებს თარგამოსიანთა ჩამოთვლას და მხოლოდ ამის მერე ახსენებს "მოს-ოხსა" და "თობელს". ღმერთის დღესდღეობით ცნობილი რუსული სახელი – "ბოგ" – როგორც ამბობენ, ინდური წარმომავლობისაა, ხოლო იმ სახელს, რომელიც საკუთრივ რუსული, ან უფრო რუსული უნდა იყოს, ქართული წარმართული პანთეონიც იცნობს აი, ამ ფორმით – "ვობი".

ჩვილი რომ საწოლში წამოჯდომას შეიძლებს დამოუკიდებლად, ამაზე იტყვიან მალაგასები – "ტრაკაო". აი, იმ ჩვილის მდგომარეობაშია დაახლოებით ახლა ჩვენი ზღაპარი. არადა, ორია ეს "ტრაკაც", თუ მიაქციეთ ყურადღება, ორი ნაწილისაგან შესდგება. სომხურადაც ამიტომ არის, ალბათ, "ვორ" ისევე, ან თითქმის ისევე, როგორც დღე (თუ დღე-ღამე – ?) – "ორ". გაგეცინებათ და რუსულშიც ასეა: "ობა" ("Ꮷობა-დვა"), "ობა", "ჟოპა". სიყვარულსაც ნიშნავს, მოგეხსენებათ, ეს რუსული 'Ꮷობა". "მიპეტრაკა" ბატონებო (ისევ მალაგასურად გელაპარაკებით – დაბრძანდით-მეთქი) და ყური დამიგდეთ. ბერძნულ-ლათინურ ორსა და ღმერთის სახელს თუ შეადარებთ ამასობაში ერთმანეთს, ვინც ბერძნულის და ლათინური იცით, არ იქნება, ალბათ, არც ეს მთლად აზრს მოკლებული.

* * *

ცნობილია, რომ მეფეები თავიანთ თავს ზოგჯერ "ჩვენობით" მოიხსენიებდნენ. რატომ? იმიტომ , ალბათ, რომ მეფე "სწორია ღმრთისა", ხოლო ღმერთი ბიბლიის მიხედვით არის სწორედ "ჩვენ" – "ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩვენისაო", "და აჰა, ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩვენგანიო". ცნობილია აგრეთვე, რომ ზოგიერთმა ენამ (მათ შორის მალაგასურმა) დღემდე შემოინახა ორი სიტყვა სწორედ ამ ნაცვალსახელის – "ჩვენ" – აღსანიშნავად. ერთი გულისხმობს "ჩვენს" უთქვენოდ, მეორე კი ისევ "ჩვენს", მაგრამ უკვე თქვენიანებ, ან თქვენთან ერთად. სამი კაცი თუ ვდგავართ, მაგალითად, ერთად, ერთ შემთხვევაში მარტო ორნი ვიქნებით "ჩვენ" და მესამეს არ ვიგულისხმებთ, მეორე შემთხვევაში კი უკვე სამივე ერთად ვიქნებით "ჩვენ". აი, ის პირველი "ჩვენ" ამოსავალში სწორედ ორობითობის აღმნიშვნელი უნდა იყოს, მეორე კი – ზოგადად მრავლობითობისა. ღმერთი, როგორც ჩანს, სწორედ ის პირველი "ჩვენ" არის და იგივე "ჩვენ" იგულისხმება, როდესაც მეფეებზეა ლაპარაკი.

"მისალამეს, მითხრეს: ფატმან, ბრძანებაა ღმრთისა სწორთა, დღეს რომელი უსენ შესძლვნა, ქალი მსგავსი მზეთა ორთა, აწ მოგვგვარე, წავიყვანოთ, ვლა არ გვინდა გზათა შორთა" – აქ არამარტო მეფეა მოხსენიებული მრავლობით (ორობით) რიცხვში – "ღმრთისა სწორთა" – არამედ ქალიც, რომელიც მას შესძლვნეს – ნესტან-დარეჯანი – მსგავსია "მზეთა ორთა", ანუ მსგავსია იმ "ორ მზეთა", რაც უნდა იგულისხმებოდეს ამოსავალში აი, ამ სიტყვებში: "არმაზი", "შამაში", "ორმუზდი"

---

სასტიკად ილიმებოდა ერთი კაცი, იმ ციხეში ლაგერიდან რომ ჩამოეყვანათ. ამ კაცის ღიმილი სამუდამოდ დაამახსოვრდა, ისე დაამახსოვრდა, ეშინოდა ხოლმე გახსენება.

წარმოიდგინეთ, როგორ მარჯვედ მოატყუებს იმათ, ვინც აქ ჩამოიყვანა, თუკი ახლა მოკვდება – მთელი ათი წლით მოატყუებს. რამდენიმე წლის წინათ გადასახლებაში იმყოფებოდა და იცოდა, რომ სამუდამოდ შეიტანეს საგანგებო სიებში. სამუდამოდ? მასშტაბები შეენაცვლნენ ერთმანეთს და სიტყვებმაც შეიცვალეს თავისი მნიშვნელობა.

ისევ იგრძნო, რომ ძალების მოზღვავება ეწყებოდა, ზუსტად ისე, როგორც ზღვამ იცის მოქცევა. მრავალსაათიან მოქცევას კი მერე უკუქცევა მოჰყვება. მაგრამ განა ზღვა სამუდამოდ გვშორდება ხოლმე? კიდევ მოვკეთდებიო, გაიფიქრა.

ანაზდად მოენატრა ჭამა, მაგრამ ძალ-ღონე აღარ გააჩნდა, რომ განძრეულიყო. ნელ-ნელა და ძლივძლივობით გაიხსენა, რომ დღევანდელი სუფი მეზობელს დაუთმო, რომ ბოლო დღეს მისი ერთადერთი საზრდო ერთი ტოლჩა ადუღებული წყალი იყო. რა თქმა უნდა, პურს თუ არ ჩავთვლით. მაგრამ პური ძალიან დიდი ხნის წინათ დაარიგეს. გუშინდელი ულუფა კი მოჰპარეს. ვიღაცას კიდევ შემორჩენოდა ქურდობის ძალა.

ასე იწვა მსუბუქად და უფიქრელად, ვიდრე დილა არ დადგა. ელექტროშუქი ოდნავ გაყვითლდა. პური მოიტანეს ფანერის დიდი სინებით, როგორც ყოველ ცისმარე დღე მოჰქონდათ.

მაგრამ ის უკვე აღარ ღელავდა, თვალებს არ აცეცებდა პურის ყუის საპოვნელად; აღარ ტიროდა, როგორც უწინ, პურის ყუა რომ არ ერგებოდა ხოლმე. აკანკალებული თითებით აღარ იტენიდა პირში პურის დანაწონს, რომელიც მყისვე



("აჰურა მაზდა"), "თუთაშხა" და სხვ.

ამ ორი "ჩვენის" კვალი ძველ ქართულ სამწერლობო ენაშიც მოიხილება, მაგრამ უფრო თვალსაჩინოა ეს კვალი, როგორც კვალი, სვანურში.

ცხადია, აქ რომელიღაც უძველესი ცივილიზაციის დროთა განმავლობაში სახეცვლილი, თავის დროზე ენაში და ენებში არეკლილი და ენაში და ენებშივე მეტ-ნაკლები თვალსაჩინოებით შემონახული რწმენა-წარმოდგენები ილანდება, მაგრამ საინტერესოა, რომ აგერ უკვე ჩვენს დროში, გამოჩენილ ფრანგ პოეტს, სიურეალისტს, პოლ ელუარს ყოველივე ეს სამომავლოდ ეიმედება:

"ცალ-ცალკე მიზანს ვერ მივაღწევთ,
მხოლოდ – ორ-ორნი,
ოდეს ორ-ორნი გავიცნობთ ერთმანეთს, ერთმანეთს გავიცნობთ ყველა,
ყველას გვეყვარება ერთმანეთი და ჩვენი ბავშვები იცინებენ
იმ შავ-ბნელ ლეგენდაზე, სადაც გულამოსკვნით ტირის მარტოსული".

. . .

ნიკო მარმა "პირინეის გურია" აღმოაჩინა. საქართველოს კათალიკოსმა, მანამდე კი რუსეთის ეპარქიებში ათწლეულობით ნამსახურმა მღვდელთმთავარმა, კირიონ მეორემ დაწერა წიგნი: "ივერიის როლი რუსეთის ისტორიაში" და ამ წიგნს იმ რუსული სიტყვების ლექსიკონი დაურთო, რომელთა ქართული წარმომავლობაც სწამდა და სჯეროდა. სხვაც ბევრი ვიცი კიდევ ქართველთაგანი, ზოგი ინდოეთში რომ ეძიებს და პოულობს "სხვა საქართველოს", ზოგი იაპონიაში, ზოგი ლათინურ ამერიკაში, ზოგი შუმერში, ზოგი სად და ზოგი სად... ღმერთმა ყველას მოუმართოს ხელი, დარწმუნებული ვარ, რომ ყველა თავისებურად მართალია და აი, რანაირად შეიძლება, რომ ყველა მართალი იყოს, ამის ახსნას ვცდილობ სწორედ ამ წიგნში.

მე პირადად პირველად მადაგასკარზე "დავინახე ის, რაც ვიცოდი" და ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, ჩემი "მალაგასურ-ქართული" სიტყვანიდან მინდა შემოგთავაზოთ ზოგი რამ.

მანამდე კი მალაგასური პოეზიის ერთ ნიმუშს გავეცნოთ. ეს გახლავთ მეოცე საუკუნის უდიდესი მალაგასი პოეტის, რაბეარიველუს ლექსი კრებულიდან: "იმერინას ქვეყნების სიმღერები".

## იარივუ

იარივუ, იარივუ, იარივუ მკვდარო,
რა ხანია, კვალი წმინდად აიკრიფე, კარი
მომიხურე ჩემი ჯიშის მწუხრში გამავალი!

დღეში გეძებ,
დღე-ცისმარე ცუდად დამაშვრალი
შემოვივლი თორმეტ ბორცვს და
სადედოფლო მიწას,
ერთ დროს მარჯნის გვირგვინოსანს,
მიწყივ დაუვიწყარს.
ამაოა სასოება ჩემი, ვიცი კარგად –
მადლი გაჰქრა, სამშვენელი შენი დაიკარგა.
ნაგრამს შენსას წრე შეუკრავს,
როკვა გაუმართავს –
ვაი, ჩვენო დიდო დედავ,
აწი ბრუნდს და მართალს
ვინ გაარჩევს და მეც ვროკავ,
თუმც ეს როკვა მზარავს,
სთვლის ყვავილებს ვარხევ ხელში,
ხსოვნას გაუბზარავს
შენსას ველტვი ჯურღმულებრივს
და ხსოვნისკენ მიძღვის
ჩემი ჯავრი, ჩემი დარდი, ჩემი სევდა მიწყივ!
გულო ჩემო,დალეულო სიყვარულით სამის:
ცივ ევროპის, ვისიც არის, რაც გაქვს უკეთესი,
ინდოეთის, სადაური
ცის ფერიც გაქვს ლექსი
და აფრიკის –
შენი წყაროს თვალის საესავის.
ჯერ არცერთ ხეს არ ჰქონია
სამ მიწაში ფესვი,
სამ ნიადაგს ერთდროულად
ვერა ჰგუობს ბაღი,
აირჩიე არჩევანი, კარი გამოაღე,
სამივეში ძირი გიდგას, სამივესი გესმის.

პატარა კომენტარი სჭირდება, ალბათ, ამ ლექსის თარგმანს. "იარივუ" ათასს ნიშნავს მალაგასურად, იგულისხმება ანტანანარივუ, ანუ "ათასის ქალაქი", როგორც უკვე მოგახსენეთ ზემოთ. ანტანანარივუ თორმეტ ბორცვზეა გაშენებული. მადაგასკარის, ანუ, უფრო სწორად, იმერინების მეფეს, ანდრიანამპუიმერინას, როგორც ამბობენ, თორმეტივე ბორცვზე ჰყავდა თითო ცოლი – სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის იყო ეს საჭირო. ისინი ყველანი, ცხადია, დედოფლები იყვნენ და ამ თორმეტი ბორცვის ერთობლიობაც ამდენად სადედოფლო მიწა გახლდათ. დიდია მადაგასკარის დედოფლების დამსახურება ამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში.

მეოცე საუკუნეში მალაგასებს ჰყავთ კიდევ ერთი დიდი პოეტი – რაბემანანძარა. დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა და ცხრა წელიწადს იჯდა ციხეში ამის გამო. დამოუკიდებლობის მოპოვების მერე კი, იმის მერე, რაც მადაგასკარი სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგა, იძულებული შეიქმნა ემიგრაციაში წასულიყო. ჩემს იქ ყოფნაში ასე ამბობდნენ – ახლა დაკარის უნივერსიტეტის რექტორიაო. აი, ამ რაბემანანძარას აქვს ასეთი სტრიქონები:

"საბედისწერო მოსახვევში
ხელი რომ გტაცე,
უფსკრულის პირას აგიყვანე ღია
ჭრილობით, ის მოცეკვავე მე ვიყავი,
მე ავისროლე ცაში და ქარს მე გავატანე
ძველი ჭილოფი,
სადაც ქურდების მძაღე სუნთქვით
გადანასუნთქი
შენი სიშიშვლე თრთოდა თრთოლვით
მეფურ ამპელის".

"ამპელა" სამეფო ქალს ნიშნავს მალაგასურად, მეფის შესაფერისს, ანუ დედოფლობის ღირსს. თავად მადაგასკარის, როგორც ქვეყნის, ხატია ეს "ამპელა". აი, აქ, ამ კუნძულზე, ამ ქალაქში და ამ "ქაჯეთის ციხეში" მიიყვანეს, ლევან მარუაშვილის თანახმად, ჩვენი ნესტან-დარეჯანი – "ქალი მსგავსი მზეთა ორთა" და შესძლვნეს იგი "ღმრთისა სწორთ".

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დნებოდა. ნესტოები ებერებოდა და მთელი თავისი არსებით შეიგრძნობდა ახალგამომცხვარი ჭვავის პურის გემოსა და სუნს. დანაწონი კი უკვე აღარ იყო პირში, თუმცა გადაყლაპვაც ვერ მოუსწრია და ყბაც არ გაუნძრევია. პურის ნაჭერი გადნა, გაქრა პირში და ეს იყო საოცრება – ერთ-ერთი მრავალ აქაურ საოცრებათაგან. არა, ახლა ის არა ღელავდა. მაგრამ როდესაც ხელებში ჩაუდეს მისი დღიური ულუფა, სისხლდაცლილი თითები შემოაჭდო და პირთან მიიხუტა. სურავანდიანი კბილებით კბენდა პურს, ღრძილებიდან სისხლი მოსდიოდა, კბილები ერყეოდა, მაგრამ ტკივილს ვერა გრძნობდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, პირთან იხუტებდა, პირში იტენიდა პურს, წოვდა, ღოღნიდა, გლეჯდა და ღრღნიდა...

მეზობლები აჩერებდნენ:

– მთლიანად ნუ ჭამ, სჯობს მერე შეჭამო, მერე...

და პოეტი მიხვდა. ფართოდ გაახილა თვალები და გასისხლიანებულ პურს არ უშვებდა თავისი ჭუჭყიანი, გალურჯებული თითებიდან.

– როდისღა მერე? – მკაფიოდ და გარკვევით გამოთქვა და დახუჭა თვალები.

საღამო ხანს ის მოკვდა.

მაგრამ ორი დღის შემდეგღა ჩამოწერეს – მარიფათიანმა მეზობლებმა მოახერხეს, რომ ორი დღის განმავლობაში პურის დარიგებისას მიცვალებულის ულუფა მიეღოთ. მიცვალებული, მარიონეტი თოჯინის დარად, ხელს მაღლა სწევდა. მაშასადამე, იგი მოკვდა თავისი სიკვდილის თარიღზე ადრე – არცთუ უმნიშვნელო დეტალი გახლავთ მისი მომავალი ბიოგრაფებისათვის.

თარგმნა თამაზ ნატროშვილმა.

# ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჟან-კლოდ ვან დამი

● სახელგანთქმულ მსახიობს ჟან-კლოდ ვან დამს მშვენიერი სქესის უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს და არც თავად არის მათდამი გულგრილი. ახლახანს ფილმის გადაღებისას იგი ერთობ მოიხიბლა ქერათმიანი ლამაზმანით და ძალზე შეცბა, როცა მშვენიერი არსება გადაცმული მამაკაცი აღმოჩნდა.

* * *

● ამერიკელი კინოვარსკვლავი შერონ სთოუნი არამარტო



შერონ სთოუნი

კარგი მსახიობია, არამედ საუკეთესო დალაქიც. ამას ამტკიცებენ მისი ახალი ფილმის "უკანასკნელი ცეკვის" გადამღები ჯგუფის წევრები. როგორღაც ძალიან რთული სცენის გადაღების შემდეგ მსახიობმა, დაძაბულობის მოსახსნელად, გადამღები ჯგუფის ერთ-ერთ წევრს თმის შეჭრა შესთავაზა. ეს იმდენად კარგად გამოუვიდა, რომ რამდენიმე წუთში ოცკაციანი რიგი ჩამოუდგა.

* * *

● 1968 წელს ცხრამეტი წლის არნოლდ შვარცნეგერი ავსტრიიდან ინგლისში ჩამოვიდა "მისტერ სამყაროს" ტურნირში მონაწილეობის მისაღებად და თავი რომ ერჩინა, საღამოობით უვლიდა იმ სპორტდარბაზის ერთ-ერთ მფლობელის წლინახევრის გოგონას, სადაც დღისით ვარჯიშობდა.

* * *

● სულ ახლახანს ცნობილმა მსახიობმა ალ პაჩინომ აღიარა, რომ ახალგაზრდობაში ერთხელ სცადა ემუშავა "ჟიგილოდ" პალერმოში ერთ შუახნის ქალთან. მიუხედავად კომფორტული პირობებისა, იგი დიდი ხნით არ დარჩენილა ამ ამპლუაში და მას შემდეგ აღარასოდეს უვაჭრია



არნოლდ შვარცნეგერი

საკუთარი სხეულით.

● ჰოლივუდის ამჟამინდელი ვარსკვლავის ქევინ ქოსნერის პირველ როლს შეიძლება ვუწოდოთ უსიცოცხლო. ფილმ "გაყინულის" დასაწყისში იგი ეკრანზე გამოჩნდა მკვდარი სხეულის სახით.

* * *

● როდესაც მშობლებმა თექვსმეტი წლის ჯუნის ფეხმძიმობის შესახებ შეიტყვეს, ოჯახის ღირსების გადასარჩენად თავიანთი პირმშო დაუყოვნებლივ გაგზავ-



ჯეკ ნიკოლსონი

ნეს ბაბუასთან. ჯუნის დედამ ეტელ-მეიმ მუცელზე ბალიში მიიმაგრა და ასე დადიოდა ქალაქში. როდესაც 1937 წლის ოცდაორ აპრილს ქვეყანას ჯეკი მოევლინა, ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ჯუნის ძამიკო შეეძინა. ჰოლივუდის უდიდესი მსახიობის ჯეკ ნიკოლსონის დაბადების ოჯახური საიდუმლოება მისმა "დედამ", უფრო სწორად, მისმა ბებიამ ეტელ-მეიმ მხოლოდ სიკვდილის წინ გაამხილა.

* * *

● ეს მართლაც ჭეშმარიტი სიყვარულია – ყოველ შემთხვევაში ხარი კალფი და ბეჰემოტი ინა განუყრელნი არიან. ისინი ერთად ძოვენ ბალახს, ერთად მიდიან წყლის დასალევად,



ერთად ბრუნდებიან რანჩოზე. მწყემსი პატრიკ ლუისი გვარწმუნებს, რომ მათ ერთხელ კიდევაც სცადეს სექსის დაწყება, მაგრამ ამ ცდამ წარუმატებლად ჩაიარა. მიუხედავად ამისა, ბეჰემოტი ინა თავის მეგობარს სხვა ძროხებს მაინც არ აკარებს.

* * *

● არა, ეს ფოტომონტაჟი როდია. სინამდვილეში შორეულ ავსტრალიაში ამ ძაღლმა თავის ოჯახში შეიკედლა ობოლი გოჭი.



* * *

● "თუ ძაღლი მართლაც ადამიანის მეგობრად ითვლება, რატომ ისიც ასე არ უნდა ცხოვრობდეს, როგორც მეგობარს შეეფერება" – გადაწყვიტეს კალიფორნიელმა მხატვარ-დიზაინერებმა და შეიმუშავეს ასეთი ტიპის სახლები თავისი ოთხფეხა მეგობრებისათვის.



ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბასაევის ცოლები

ასე შეარქვეს აფხაზეთში ომის დროს ჩეჩენი "ბოევიკების" მიერ მიტოვებულ ქალებს.

— მას მაჰმუდი ერქვა და არა შამილი, — მზერა ამარიდა შავთვალება ლამარამ, — ალბათ, მოკლეს, თორემ უსათუოდ მომაკითხავდა.

ერთ პატარა აფხაზურ სოფელში თვრამეტი წლის ლამარას "ბასაევის" ცოლს ეძახიან, ვიღაც დასავლეთელმა კორესპონდენტმა ყური მოჰკრა ამ სიტყვებს და... ასე დაიბადა ლეგენდა ჩეჩენთა მეთაურის მიტოვებულ ცოლებსა და პატარა ჯამაზე, ბასაევის შვილად რომ მონათლეს.

... ეს ამბავი 1992 წლის ზამთრის პირას დაიწყო. ლამარას უფროსი ძმა ოცი წლისაც არ იყო, ომში რომ დაიღუპა.

როცა სოფლის შემოგარენში ომის გრუხუნი გაისმა, მას მოჰყვა ნაკრები პოლკი — მასში აფხაზების გარდა იყვნენ ჩეჩენი "ბოევიკებიც" — შამილ ბასაევის მეთაურობით. ქალებს ძლიერ მოეწონათ "მოხალისე გადამრჩენლები" — ჩეჩნებს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ, როგორც ძვირფას სტუმრებს, თავს ევლებოდნენ, საუკეთესო საჭმელებს მიართმევდნენ, საუკეთესო ადგილებზე აწვენდნენ.

მაჰმუდი კი სახლში მიიყვანეს, ბეჭში იყო დაჭრილი, ბევრი სისხლი დაეკარგა და ფეხზე ძლივს იდგა. მან ოდნავ მოწრუპა თხის რძით სავსე ჭიქა, მერე მიეგდო კუთხეში და რამდენიმე საათი მკვდარივით ეძინა.

ლამარას ის-ის იყო თექვსმეტი შეუსრულდა. გოგონას ვერაფრით მოენელებინა ძმის სიკვდილი. ყოველ ახალგაზრდა "ბოევიკში" ის ელანდებოდა — დაღლილი, მაგრამ ცოცხალი. ძმა დაინახა მაჰმუდშიც. დღენიადაგ თავს დასტრიალებდა.

მაჰმუდი უჩუმრად უთვალთვალებდა მზეთუნახავ გოგონას. ერთხელაც, უჩუმრად დაუდარაჯდა სახლთან, სიბნელეში და მაგრად შემოხვია წელზე ხელები.

ერთი შეხედვით უწყინარმა, თვინიერმა გოგომ ისე იკივლა, მეზობელმა დაურმა — მამამისის მეგობარმა — გაიგონა. მოვარდა. და აი, ვით დუელში, ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მამაკაცები.

— მე... ისე... მამამისთან ვაპირებდი ლაპარაკს, — უეცრად გაიღიმა ნირწამხდარმა მაჰმუდმა. — ცოლად მინდა შევირთო.

მეორე დღეს სოფლის უხუცესები შეიკრიბნენ. წესი არ არის აფხაზი ქალი მივათხოვოთ გადამთიელ "ბოევიკს", სულ რაღაც სამი დღეა რომ ვიცნობთ. კარგა ხანს ითათბირეს და ბოლოს გადაწყვიტეს: უარმა შეიძლება გაამწვავოს ურთიერთობა აფხაზ და ჩეჩენ "ბოევიკებს" შორის. არადა, ამ მოსულებზე დიდ იმედს ამყარებდნენ.

ლამარა არაფერს ამბობს იმის შესახებ, თავად რას ფიქრობდა მომავალ ქორწინებაზე. სამაგიეროდ, დედამისი მოთქვამს: "გამიყიდეს ბავშვი... მერედა, როგორ ნორჩი..."

ქორწილიც რაღაცნაირად ნაჩქარევად გადაიხადეს. მამამ, — ომის დაწყების დღიდან სულ მესამედ რომ ნახეს , — ბრძანა: დაეკლათ ორი ხბო, ყველა ნათესავ-ახლობელთაგან მოეგროვებინათ ლობიო და სიმინდის ფქვილი, მარანიდან ამოეღოთ გადანახული ჭაჭა და ღვინო.

სამი დღის შემდეგ, აფხაზური წესით, თექვსმეტი წლის ლამარა მაჰმუდის ცოლი გახდა. ქორწილში გულიანად მოილხინეს თანასოფლელებმა და ჩეჩენმა "ბოევიკებმა" — ბასაევის ხელმძღვანელობით.

გამონაკლისი, როგორც ამბობენ, თვითონ ბასაევი იყო. ომის დაწყების წინ იგი განქორწინებული ყოფილა. აფხაზეთში კი ცოლად აქაური ქალი შეურთავს და მთელი თავისი ოჯახით წაუყვანია ჩეჩნეთში, სადაც საქორწინო კავშირი განამტკიცა ჩეჩნური ადათ-წესებით.

ოჯახური ცხოვრება ლამარას უცნაურად აეწყო. ქორწილიდან ორი დღის შემდეგ მაჰმუდი მთაში წავიდა. ზოგჯერ გამოჩნდებოდა სოფელში, დარჩებოდა რამდენიმე დღე, გამოიძინებდა და ისევ მიდიოდა.

ფეხმძიმობაც მძიმე ჰქონდა — ალბათ, განუწყვეტელი ნერვიული დაძაბულობის გამო.

ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მაჰმუდი კვლავ მოევლინა სოფელს. ამაყი ჩანდა — აბა როგორ? ბიჭი შეეძინა!

მაგრამ ერთხელ, მორიგი სტუმრობის დროს, ლამარა, როგორც მზრუნველ ცოლს შეეფერება, ტანსაცმლის წმენდას შეუდგა. უცებ ჯიბიდან ქისა გადმოვარდა. ქისაში, ორი ბავშვის და მომღიმარი ახალგაზრდა ქალის სურათი იდო.

მორიდებული ყმაწვილი ქალი დედასთან მივიდა რჩევისათვის. მან აინუნშიც არ ჩააგდო ეს ამბავი. "ალბათ, დაა, ან დეიდაა. გირჩევნია საქმეს მიხედო — ქმარი მოგივიდა ომიდან".

მეორეჯერ მაჰმუდი სამი თვით დაიკარგა. "ალბათ, მოკლეს ჩვენი სიძე" — თქვა მამამ და ამოიხვნეშა. არადა, იმ დროისათვის მაჰმუდი აღარ იბრძოდა — ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს. მთელი დღეები დაბორიალობდა ბაღში და ყუმბარებისგან დასახიჩრებულ მანდარინებს უვლიდა.

ლამარა მეზობლად მდგარ ჩეჩნებთან მივიდა. ბასაევის მეშვეობით დაადგინეს, რომ მაჰმუდი ჩეჩნეთში იყო წასული. "იქ საქმეები აქვს", — ორჭოფულად განაცხადა შამილის უახლოესმა თანაშემწემ.

იქიდან მაჰმუდი დასვენებული, მომატებული ჩამოვიდა. საღამო ჟამს თავს უფლება მისცა — ადათის საწინააღმდეგოდ — ღვინო დაელია — აფხაზეთის თავისუფლებისათვის!...

ერთხანს ბავშვს ეთამაშა, მერე... ბარგი-ბარხანის შეკვრას შეუდგა. — დროა, შინ დავბრუნდეო, — ჩაიბურტყუნა, ლამარას გაოცებულ მზერას რომ წააწყდა.

ნახევარი საათის შემდეგ სახლში ისევ შეიკრიბნენ უხუცესნი, მაგრამ მათაც ვერ შეძლეს, გადაერწმუნებინათ "ოჯახის უფროსი", ჩეჩნეთში რომ მარტო და სამუდამოდ მიემგზავრებოდა. უკანასკნელი საბუთი, რაც მაჰმუდმა მოიშველია თავისი განზრახვის გასამართლებლად, გახლდათ ის, რომ თურმე თავის სამშობლოში ჰყავდა ჩეჩნური ადათ-წესებით შექმნილი ოჯახი.

— განა ცოტა მყავს ასეთი ცოლი აფხაზეთში... მე თქვენი განმათავისუფლებელი ვარ! — გამომწვევად ალაპარაკდა მაჰმუდი — თქვენ ვერაფერს დამაკლებთ!

უხუცესებმა ბასაევს მიმართეს. მან კი ხელი აუქნია მოხუცებს: "თქვენ თვითონ მოუარეთ თქვენ საქმესო!"..

... ახლა ლამარა მარტოდმარტო ზრდის თავის ბავშვს. უხუცესებს ებრალებათ იგი და თან ჩუმად ძრახავენ. ომის შემდეგ, ერთადერთი საშუალება თავის გატანისა - მანდარინების გაყიდვაა საზღვარს იქეთ, რუსეთში: იქიდან აღებული გროშებით — კარტოფილისა და ბრინჯის შეძენა.

— ასეთი რამ ჩვენში არაერთხელ მომხდარა. თქვენ მაინცდამაინც ამ ამბით რისთვის დაინტერესდით? — ფილოსოფიური კილოთი ჰკითხა გაზეთის კორესპონდენტს ერთ-ერთმა უხუცესმა: — მე ვიცი, რამდენიმე ჩვენი ქალიშვილი აფხაზური წესით რომ გათხოვდა ჩეჩენ "ბოევიკებზე". მათ ხომ ჩვენ გმირებად ვთვლიდით. შემდეგ ისინი აცხადებდნენ: ეს ქორწინება ჩეჩნური ადათ-წესის მიხედვით კანონიერად არ ჩაითვლებაო და... მიდიოდნენ, ტოვებდნენ ოჯახებს.

თუმცა ბასაევმა ჩეჩნური ადათით იქორწინა აფხაზ ქალიშვილზე, მაინც ყველა მიტოვებულ ცოლებს აფხაზეთში დღემდე "ბასაევის ცოლებს" ეძახიან.

— რასაკვირველია, არ უნდა მიგვეთხოვებინა უცხოსთვის ჩვენი ქალიშვილი, — დაიჩივლა ლამარას მამამ, — იმათ, თქვენ წარმოიდგინეთ, სხვანაირი წესები აქვთ თურმე. ისე გამოვიდა, რომ აქ ისინი თითქოს არც დაქორწინებულან. ლამარა აწი ვერც გათხოვდება, ისედაც ბევრი საქორწილე ბიჭი დაგვეღუპა ამ ომში.

მარტო ლამარას არ სჯერა ღალატისა, მეუღლე, უბრალოდ, გაბრაზდა ჩვენზე, თორემ ის რომ ცოცხალი იყოს, აუცილებლად დამიბრუნდებოდა: აბა, ისე რა ვაჟკაცი ყოფილა, თუკი მატყუებდაო.

"კომსომოლსკაია პრავდა"



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსვორდი



*თარაზულად*: 5. თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი. 6. საფეიქრო ფაბრიკის მეპატრონე ძველ თბილისში. 9. სიტყვა, რომელიც ზუსტად გადმოსცემს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების რაიმე დარგის გარკვეულ ცნებას. 11. რაიმე დამსახურების აღსანიშნავად გაცემული საბუთი. 12. სამონასტრო კომპლექსი სამხ. იმერეთის მთისწინეთში. 14. ძველი სახელმწიფო დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე. 17. კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა. 20. რაიმე სპორტულ შეჯიბრებაში დაწინაურებული პირი ან გუნდი. 22. დიდი საცეკვაო საღამო. 23. მოქმედი ვულკანი კუნძულ სიცილიაზე. 24. წერილობითი თხოვნა, საჩივარი. 25. ქალაქი აღმოსავლეთ რუმინეთში. 26. სოფელი ისტორიულ ქვემო ქართლში. 29. ქართველი პოეტი. 31. საყოველთაო ლოცვა, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიან. 33. პატარა ელექტროორღანი საესტრადო ორკესტრის შემადგენლობაში. 35. რთული სიუჟეტის მქონე დიდი მოცულობის თხრობითი ლიტერატურული ნაწარმოები. 37. ქართველი საოპერო მომღერალი. 38. სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. 39. ხალხური ზეპირი შემოქმედება.

*შვეულად:* 1. მტაცებელი ფრინველი. 2. პაპირუსის ან პერგამენტის გრაგნილი ძველ საბერძნეთსა და რომში. 3. დაწესებულება, სადაც ინახება ძველი წერილობითი ძეგლები და საბუთები. 4. დიდი ვენახი. 7. მთავრის, მმართველის ტიტული ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყანაში. 8. ამერიკელი კინომსახიობი ქალი. 10. რისამე დედააზრი, რაობა. 11. თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი XVII საუკ. კრწანისის ველსა და თაბორის მთას შორის. 13. ლექსი, რომლის სტრიქონთა თავკიდური ასოებისაგან გამოდის სიტყვა ან ფრაზა. 15. სტვირებისაგან შემდგარი ერთგვარი საკრავი. 16. ჯგუფი, ხარისხი, კატეგორია. 18. ხის ტანვარჯიშული იარაღი, რომელზედაც, ვარჯიშობენ წონასწორობის დაცვაში. 19. ამერიკელი კინომსახიობი და რეჟისორი. 20. ტროპიკულ და სუბტროპიკულ ტყეებში გავრცელებული ხვიარა მცენარეების სახელწოდება, 21. ხის რკალზე ცალ მხარეს ტყავგადაკრული საკრავი. 27. ლობიოს მსგავსი ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე. 28. კინოფილმის ცალკე სცენა ან ეპიზოდი. 30. ფრანგი კინორეჟისორი. 31. საწვიმარი. 32. მცენარის ან ცხოველის ცალკეული სახეობის, სასარგებლო წიაღისეულის და ა. შ. გავრცელების არე დედამიწის ზედაპირზე. 34. თეატრში შესასრულებლად განკუთვნილი მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, რომელშიც ინსტრუმენტული მუსიკა შეხამებულია ვოკალურთან. 36. ტარიფი.

შეადგინა გაგუ გოშაძემ

# პლენერი - მუშაობა ღია ცის ქვეშ

საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ჯეროვან ყურადღებას აქცევს მოქანდაკეობის განვითარებას. მეტად ნიშანდობლივია, რომ 1989 წლიდან დღემდე საქართველო ხუთჯერ (რუსთავში სამჯერ, მცხეთასა და თელავში თითოჯერ) მასპინძლობდა მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმს.

წელს განსაკუთრებულ სიახლეს დაედო საფუძველი. სამხატვრო აკადემიის ტერიტორიაზე, ე. წ. "ზიჩის სკვერში" პირველად მოეწყო პლენერი ანუ მუშაობა ღია ცისქვეშ.

რექტორატის თხოვნით პლენარის ტექნიკური მხარის მოგვარებაში დიდი წვლილი შეიტანა №2 სარემონტო ტრესტის /გენერალური დირექტორი დიმიტრი ჩიჩუა/ №21 სამმართველომ /მმართველი არჩილ გრიგორაშვილი, უბნის უფროსი დავით ნიკოლაძე/, რომელიც ამჟამად აკადემიის შენობა-ნაგებობების სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ასრულებს. სწორედ მათ მოზიდეს და დადგეს სადახლოს მარმარილოს ვეებერთელა ლოდები.

რკინის მასიურ კონსტრუქციებზე მკვიდრად შედგმულ ვეებერთელა მარმარილოს ლოდებს გულისყურით უტრიალებენ ჩაქუჩსატეხითა და ელექტროხერხით შეიარაღებული მოქანდაკენი.

– ეს მოქანდაკეები სპეციალურად არიან შერჩეული, – ამბობს აკადემიის დეკორატიულ-გამოყენებითი ქანდაკების კათედრის გამგე ჯუმბერ ჯიქია, – ზოგი მათგანი ასპირანტია, ზოგი კურსდამთავრებული ან სტუდენტი. თემის არჩევა თავისუფალია. აკადემიას გადაწყვეტილი აქვს პლენერი ყოველ წელიწადს მოაწყოთ. ამიტომ, ცხადია, მოქანდაკეებიც ყოველწლიურად ახალ-ახალნი იქნებიან. მათი ნამუშევრები განლაგდება ამავე სკვერში, საერთოდ აკადემიის კუთვნილ მთელ ტერიტორიაზე. რომელი მათგანიც გაუძლებს დროისა და პროფესიონალთა მსჯავრს, ალბათ, სამუდამოდ აქვე დაიმკვიდრებენ სამყოფელს, რომელიც ვერა და... ერთი სიტყვით, ყოველწლიურად გამართული ამგვარი პლენერები ხელს შეუწყობს ტალანტების უკეთ გამოვლენას. ჭეშმარიტი შემოქმედის ნატვრა და ოცნებაც ხომ ეს არის!

ბარეკანის პირველ გვერდზე: დავით აღმაშენებელი. მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი
ფოტო ბონდო დვალიშვილისა
მეორე გვერდზე: პლენერი. ფოტო ბონდო დვალიშვილისა

დაბეჭდილია შპს "კავკასია"-ს სტამბაში. მისამართი: მ.კოსტავას 69, მე-5 კორპ. ტელ.: 98-62-41



- აკი, ვინც არ მუშაობს, არა ჭამსო?!

მხატვარი ჯემალ ლოლუა

